ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

თამარ ჩუბინიძე

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველო

მოდული: საერთაშორისო ბიზნესი

სამაგისტრო ნაშრომი

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი შოთა შაბურიშვილი

თბილისი

2019

ანოტაცია

დღეს მსოფლიოში არსებობს 100-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მეტ-ნაკლები ზომით ჩართულია ეკონომიკური პრობლემების განხილვასა და რეგულირებაში. ეს ორგანიზაციები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ზომით, ფუნქციებით და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გავლენით, თუმცა ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოთა ინტეგრაცია გარკველ სფეროში მაინც. გასული საუკუნის მიწურულს, წარმოიშვა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების და მონიტორინგის ძირითად ფუნქციათა თავმოყრის ტენდენცია ორგანიზაციების მცირე რიცხვის ხელში. მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე უნივერსალურს და გადამწყვეტს სსფ წარმოადგენს.

სსფ თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო, როგორც ფიქსირებულ სავალუტო კურსების სისტემაზე ზედამხედველობის მექანიზმი, მაგრამ პრაქტიკაში განხორციელებამ აღნიშნული სავალუტო სისტემის არაეფექტიანობა ცხადყო, ამასთან სსფ-მ ვერ შეძლო ბრეტონ-ვუდსის საერთაშორისო სავალუტო სისტემისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობების აღმოფხვრა, რასაც ფონდის და მთლიანად საერთაშორისო სავალუტო სისტემის ძირითადი პრინციპების ტრასფორმაცია მოჰყვა. ის თანდათანობით ჩამოყალიბდა უფრო გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციად,რომელიც დღეს მსოფლიოს 189 ქვეყანას აერთიანებს და ახორციელებს ზედამხედველობას წევრი სახელმწიფოების ეკონომიკაზე და ზოგადად მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებზე.

გლობალიზაციის პირობებში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის აქტიური, თანასწორუფლებიანი მონაწილეობა მსოფლიო თანამეგობრობაში, ისევე როგორც ქვეყანაში არსებული მწვავე ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვს ეფექტიან თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით ისეთ უნივერსალურ და გავლენიან ინსტიტუტთან,როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ნაშრომში აღწერილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები, მათი შესაბამისობა თანამედროვე მსოფლიო ფინანსური სისტემის პირობებთან. ასევე ფონდის საქმიანობის ძირითად მიმართულებები და მისი პროგრამები.

სამაგისტრო ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში სსფ-თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და მომავალი თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლება.

Anotation

International Monetary Fund and Georgia

Tamar Chubinidze

There are more than 100 international organizations in the world, which are inserted to solve worldwide economic problems.These organizations are different from each others with functions, size and the influencing on the world economic.

In the end of the last century the main machanizmes of economic reglations were crowded by a few numbers of organizations and one of these organizations was International Monetary Fund.

In the earliest years of International Monetary Fund it worked like a mechanizm of surviellience on the fixed exchange rates,but soon it became the most powerful and influentially organization in the world. The International Monetary Fund (IMF) is an organization of 188 countries, working to foster global monetary cooperation, secure financial stability, facilitate international trade, promote high employment and sustainable economic growth, and reduce poverty around the world.

Now we can say that to solve finantial crizis is very important for our government.The practice showed us that our country can't solve problems without working with International Monetary Fund.

In the labour its described the structure of the International Monetary Fund, its goals and main functions, workind directions.We focused our attention on global economic crizis in Georgia and the role of imf to solve the problems in our country.

The main goal of the labour is to show the disadvantages and advantages of internationalonetary fund's working in Georgia.

შინაარსი

შესავალი ---------- 6

1. საერთაშორისო სავალურო ფონდის როლი საერთაშორისო ბიზნესის მონიტორინგსა და რეგულირებაში

1.1 საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზნები და ფუნქციები ---------- 8

1.2 საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურა და ფუნქციონირების მექანიზმი -16

1.3. გლობალური ფინანსური სისტემის თანამედროვე მოთხოვნები და საერთაშორისო სავალუტო ფონდი ---------- 28

2 საერთაშორისო სავალუტო ფონდი, როგორც საქართველოს პარტნიორი ორგანიზაცია

2.1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საქართველოს ეკონომიკაში --------- 34

2.2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამები საქართველოში ---------- 40

დასკვნა ----------63

გამოყენებული ლიტერატურა ----------66

შესავალი

თემის აქტუალობა. გლობალიზაციის პირობებში დიდი გავლენა აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებს. მათი პოლიტიკა და მოქმედებები ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებისთვის, რომლებიც აქტიურად განიცდიან მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების გავლენებს. ეკონომიკურ სექტორი შექმნილი მდგომარეობა, ასევე სხვადასხვა ფინანსური კრიზისები კიდევ უფრო ყურადსაღებს ხდიან ისეთ ორგანიზაციებს რომელებიც ამ სექტორში ფუნქციონირებენ.

სწორედ ასეთია საერთაშორისო სავალუტო ფონდი. ის არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და უნივერსალური ინსტიტუტი, რომელიც ეხმარება ქვეყნებს კრიზისების დაძლევაში, რეფორმების გატარებაში, ეკონომიკის განვითარებაში და ა.შ. აუცილებელია ამ ორგანიზაციის საფუძვლიანი შესწავლა.

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და აქტიური კონსულტაციების მიღება. წლების მანძილზე ჩვენი მთავრობის ეკონომიკური რეფორმის პროგრამები, როგორც წესი, სსფ-ის ექსპერტების აქტიური მონაწილეობით იქმნებოდა. რამაც შესაძლებელი გახადა ჰიპერინფლაციის დაძლევა, ეროვნული ვალუტის შემოღება, საგარეო კრედიტორებთან ურთიერთობის ნორმალიზაცია და ა.შ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ათწლეულზე მეტი დროის გასვლის შემდეგ საქართველოსათვის სსფ-თან თანამშრომლობა რეციპიენტი ქვეყნის რანგში კვლავ სასიცოცხლო მნიშვნელობას ატარებს.

კვლევის მიზანი და ამოცანა.

ნაშრომის ძირითად მიზანს საქართველოში სსფ-თან თანამშრომლობის შედეგად განხორციელებული პროგრამების განხილვა და მათი შეჯამება. მიზნიდან გამომდინარე, სამაგისტო ნაშრომი კონცენტრირებულია შემდეგ ძირითად ამოცანებზე:

- სსფ-ის მიზნების, ფუნქციების, სტრუქტურის ანალიზის საფუძველზე მსოფლიო ფინანსური სისტემის თანამედროვე მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის გამოვლენა;

- საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან სსფ-ის მიზნების შესაბამისობის განსაზღვრა;

-სსფ-ის მიერ განხორციელებული საქმიანობის დადებითი და უარყოფითი შედეგების განსაზღვრა;

-სსფ-თან მომავალი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

კვლევის საგანი და ობიექტი.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია სსფ-ის მიერ განხორციელებული პროგრამების ეფექტიანობა საქართველოში. ნაშრომის კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს, ერთი მხრივ, სსფ თავისი მიზნებით, ფუნქციებით, სტრუქტურით, მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკური ინტერესების თანხვედრა სსფ-ს.

კვლევის მეთოდი.

საკვლევი თემის სირთულის, მისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომში უპირატესად გამოყენებულია კვლევის სისტემური, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, მეცნიერული აბსტრაქციის და სტატისტიკური მეთოდები.

1. საერთაშორისო სავალურო ფონდის როლი საერთაშორისო ბიზნესის მონიტორინგსა და რეგულირებაში

1.1 საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიზნები და ფუნქციები

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ; International Monetary Fund) — საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი აქვს მინიჭებული. სსფ მიზნად ისახავს გლობალური ფინანსური სისტემის უზრუნველყოფას უცხოური გაცვლითი კურსების და საგადამხდელო ბალანსის მონიტორინგის მეშვეობით. ის ასევე საჭიროებისამებრ სთავაზობს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას განვითარებად ქვეყნებს. სსფ საკუთარი განსაზღვრებით არის "189 ქვეყნის ორგანიზაცია, რომლის მიზანია გააღრმავოს გლობალური მონატერული თანამშრომლობა, შეინარჩუნოს ფინანსური სტაბილურობა, ხელი შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობას და დასაქმების დონის ამაღლებას, უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების მზარდი ტემპი და შეამციროს სიღარიბის დონე".[1]

სსფ-ს ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა მეორე მსოფლიო ომმა. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ქვეყნებმა დაიწყეს ეროვნული ეკონომიკების აღდგენა. სსფ-ს ვალდებულება იყო საერთაშორისო სავალუტო სისტემაზე ზედამხედველობა, გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება და საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში შეზღუდვების აღმოფხვრა. ომის შემდგომ მთავარ ინდუსტრიულ ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობა მკვეთრად გაუარესდა; ამ ქვეყნების მცდელობამ დაეცვათ საკუთარი ეკონომიკა იმპორტზე ტარიფების შემოღებით კიდევ უფრო გააუარესა სიტუაცია საერთაშორისო ვაჭრობაში, წარმოებასა და დასაქმებაში. ზოგიერთმა მათგანმა შეზღუდა და გაამკაცრა საკუთარ მოქალაქეთა უფლება უცხოეთში შესყიდვები ეწარმოებინათ. თუმცა ამ ზომებმა საპირისპირო შედეგი გამოიღო და ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო დიდხანს შეენარჩუნებინა კონკურენტუნარობა.

[1] www.wikipedia.org/wiki/საერთაშორისო_სავალუტო_ფონდი

1944 წლის 22 ივლისს ბრეტონ ვუდსში, სერთაშორისო კონფერენციაზე 45 ქვეყნის წარმომადგენელი შეთანხმდა ეკონომიკური თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებაზე, რომლის მიზანი ნაწილობრივ წარმოადგენდა მომავალში თავი აერიდებინათ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარების განმეორებისგან, როგორიც იყო 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის პერიოდში[2]. (დიდი დეპრესიის პერიოდში 1930 წ. ქვეყნებმა შექმნეს ხელოვნური ბარიერები იმპორტიორებისათვის, რამაც მსოფლიო ვაჭრობის შემცირება და ცხოვრების დონის გაუარესება გამოიწვია ბევრ ქვეყანაში).

სსფ-ს კონცეფციის შექმნის ინიციატორები იყვნენ ინგლისელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი და შეერთებული შტატების ხაზინის მდივანი ჰარი დექსტერ უაიტი. შეთანხმება ძალაში შევიდა 1945 წლის 27 დეკემბრიდან, ხოლო ორგანიზაციამ არსებობა, როგორც ომის შემდგომი რეკონსტრუქციის გეგმის ნაწილმა, დაიწყო 1946 წლის მაისიდან. თავისი პირველი ფინანსური ოპერაცია 1947 წლის 1 მარტს განახორციელა, პირველი მსესხებელი ქვეყანა იყო საფრანგეთი. 1947 წელს მასში შედიოდა 49 ქვეყანა, ძირითადი კაპიტალი კი 7.7 მლრდ, დოლარს შეადგენდა. 1975 წლის 1 იანვრისთვის მასში მონაწილე ქვეყნების რაოდენობა გაიზარდა 126-მდე, ძირითალი კაპიტალი - 29.2 მლრდ-მე. 1950-1970 წლებში სსფ-ს წევრი ქვეყნების მოცულობა საგრძნობლად გაიზარდა, მას შეუერთდა აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების უმეტესი ნაწილი. ცივი ომის პერიოდში სსრკ-ს გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნები იზღუდებოდნენ ფონდში გაწევრიანების უფლებით, ამიტომ სსრკ არ მონაწილეობდა სსფ-ს საქმიანობაში. ამჟამად სსფ აერთიანებს 189 ქვეყანას, მის სტრუქტურაში მუშაობს 147 ქვეყნის წარმომადგენელი 2500 ადამიანი. [3]

ფონდი დღეისათვის ერთ–ერთ ყველაზე გავლენიან ეკონომიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომლის მთავარი მიზანია სავალუტო გაცვლითი კურსების მოწესრიგება და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირება, რაც საერთაშორისო ბაზარზე კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას. უწყობს ხელს. წესდების მიხედვით, ფონდმა

[2] ნინო ჟვანია, ,,საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა'' 2006 წელი
[3] https://en.wikipedia.org/wiki/International_Monetary_Fund

ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას, საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებას, თვალყური ადევნოს ვალუტის სტაბილურობას და გასცეს კრედიტები წევრ სახელმწიფოებზე საგადასახადო ბალანსების გასაწონასწორებლად. საერთაშორისო სავალუტო ფონდის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მთავრობისათვის როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რჩევებისა და რეკომენდაციების გაცემა. საჭიეროების შემთხვევაში, ორგანიზაცია მთვრობას აწვდის სპეციალურ სამოქმედო პროგრამას, ეკონომიკური სიძნელეების გადასაჭრელად. სსფ-ს ძირითად მიზანს წარმოადგენს დაბალანსებული საერთაშორისო ვაჭრობის უზრუნველყოფა, გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება. მისი მიზანია ასევე, არ დაუშვას სავალუტო კურსების დევალვაციის შედეგად რომელიმე ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის მოპოვება. სსფ-ს მიზანია ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურობის შენარჩუნებას, ის იძლევა ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებში რეკომენდაციებს, აფინანსებს წევრ ქვეყნებს ეკონომიკური სირთულეების წარმოშობისას და ეხმარება განვითარებად ქვეყნებს მაკროეკონომიკურ სტაბილურობის შენარჩუნებასა და სიღარიბის დაძლევაში.[4]

ამ მიზნების რეალიზაციისათვის სსფ ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- გლობალური მასშტაბით ახდენს დაკვირვებას წევრ-ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებზე და საკუთარი მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე იძლევა რეკომენდაციებს ეკ. პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

2003 წელს სსფ-მ მაღალი შეფასება მისცა მექსიკას ეკონომიკის წარმატებით მართვისათვის, მაგრამ აღნიშნა რომ ქვეყანას სჭირდება სტრუქტურული რეფორმები საგადასახადო სისტემაში, ნათობ-ენერგეტიკულ სექტორში რაც დაეხმარება მას კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე.

[4] გიორგი თარხან-მოურავი, ,,საერთაშორისო ორგანიზაციების ზოგადი მიმოხილვა და მათი თანამშრომლობა საქართველოსთან'' 2005 წ

ზედამხედველობა ითვალისწინებს ფონდის უფლებას განახორციელოს მკაცრი დაკვირვება წევრი ქვეყნების ვალუტის კურსის განსაზღვრის და მასთან დაკავშირებულ მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში. ყველა ქვეყანა ვალდებულია სსფ-ს წარუდგინოს ინფორმაცია, რომელიც საჭიროა ეკონომიკურ პოლიტიკაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად. ის, როგორც წესი, შედგება დეტალური ინფორმაციისაგან რეალურ, ფულად, საბიუჯეტო და საგარეო სექტორებზე, ასევე მთავრობის სტრუქტურულ პოლიტიკაზე (პრივატიზება, შრომის ბაზარი, გარემო). ზედამხედველობის მთავარი მიზანია პოტენციურად სახიფათო მაკროეკონომიკური პროცესების დროული გამოვლენა, რომელთაც შეუძლია გავლენა იქონიონ ვალუტის კურსის სტაბილურობაზე და მსოფლიო მოწინავე გამოცდილების მიხედვით, წევრი სახელმწიფოების მთავრობას მისცეს რეკომენდაციები მათი გამოსწორებისათვის. ეკონომიკურ ზედამხედველობას სსფ ახორციელებს ძირითადი ფორმებით:

- კონსულტაციები - რაც გულისხმობს წევრ ქვეყნებთან კონსულტაციების 12 გამართვას. ამ დროს ფონდის მისია ყოველწლიურად სტუმრობს წევრ ქვეყნებს და მართვს მოლაპარაკებებს ფინანსთა მინისტრებთან, ეკონომიკის სამინისტროსა და სხვა ეკონომიკურ სამსახურების წარმომადგენლებთან, ცენტრალური ბანკის წარმომადგენლებთან. ამ კონსულტაციების დროს მისია აყალიბებს დამოუკიდებელ შეხედულებას ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ და ამზადებს მოხსენებას დირექტორთა საბჭოზე განსახილველად, მოხსენებას თან დაურთავს რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ არის შესაძლებელი შექმნილი სიტუაციის გამოსწორება და რა შეუძლია მთავრობას მდგომარეობის გასაუჯობესებლად გააკეთოს. დირექტორთა საბჭო განიხილავს მისიის მოხსენებას, ისმენს მთვრობის მოსაზრებებს და ხმათა უმრავლესობით გამოაქვს რეკომენდაციები წევრი სახელმწიფოს მთავრობისათვის. ქვეყნის მთვრობას შეუძლია დაეთნხმოს ან არ დაეთანხმოს მას. როგორც წესი კონსულტაციები კონფიდენციალურ ხასიათს ატარებს, რაც ორივე მხარეს მაქსიმალური გულახდილობის შესაძლებლობას აძლევს. კონსულტაციები ტარდება წელიწადში ერთხელ.

- გაღრმავებული ზედამხედველობა - ხორციელდება მთავრობის თხოვით, მაკროეკონომიკური დისბალანსის აღმოფხვრის და მდგრადი განვითრების მიღწევის მიზნით. აღნიშნულ ფუნქციას ფონდი 1985 წლიდან ასრულებს, როდესაც საგარეო ვალების მომსახურების მიზნით კრედიტორმა ქვეყნებმა, განვითარებადი ქვეყნებისგან გადამწყვეტი ზომების გატარება მოითხოვეს. საგარეო ვალის გადავადების ძირითად პირობად სსფ-ის მიერ გაღრმავებული ზედამხედველობის შემოღება იქცა. ამ დროს ყოველკვარტალურად ანალიზდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და განიხილება დირექტორთა საბჭოს სხდომაზე.

- გასცემს კრედიტებს წევრ-ქვეყნებზე, რომლებიც განიცდიან საგადამხდელო ბალანსის პრობლემებს. არამარტო დროებითი დაფინანსების მიზნით ასევე პოლიტიკური სტაბილურობის მხარდასაჭერად და იმ რეფორმების მხარდასაჭერად რომლებიც მიმართულია ქვეყანაში ძირითადი პრობლემების აღმოფხვრისაკენ.

ქვეყანა რომელიც განიცდის ეკონომიკურ სიძნელეებს და შეთანხმებული აქვს ეკონომიკური რეფორმების პროგრამა, უფლება აქვს ისარგებლოს სსფ-ს ფინანსური რესურსებით. ფინანსურ დახმარებას კრედიტის ფორმა არ გააჩნია, ის წარმოადგენს ეროვნული ვალუტის გაცვლას შესაბამისი თანხის უცხოურ ვალუტაზე. სესხების ძირითადი მიმართულებებია:

o ფინანსური კრიზისების დასაძლევად;

o საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაძლევად;

o ვალების რესტრუქტურიზაციის მიზნით;

o ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით და სიღრიბის დასაძლევად;

o სტიქიური უბედურებებისა და კონფლიქტური სიტუაციების დროს გამოწვეული, ეკონომიკური პრობლემების აღმოსაფხვრელად.[5]

- უწევს ტექნიკურ დახმარებას სახელმწიფოებსა და ცენტრალურ ბანკებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კადრების მომზადებას, მაგ: სსრკ-ს დაშლის შემდეგ სსფ-მ გამოხატა ინიციატივა დახმარებოდა ბალტიის ქვეყნებსა და სსრკ-

[5] ზვიად ჩახნაშვილი, ლაურა გოტიაშვილი, ,, საერთაშორისო სავალუტო ფონდი'' (ვაშინგტონის კონსესუსის როლი განვითარებადი ქვეყნებისათვის), 2013 წლის 26 აგვისტო

ს წევრ სხვა სახელმწიფოებს, გეგმიური ცენრტალიზებული ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში,მათ შეექმნათ სახაზინო სიტემები ცენტრალური ბანკებისათვის და შეძლებოდათ ფულადი მასისა და გაცვლითი სავალუტო კურსების სისტემაზე ზემოქმედება. სსფ არის ერთადერთი საერთაშორისო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან აქტიური დიალოგი გამართოს ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.სსფ ფინანსურად ეხმარება წევრ ქვეყნებს ეკონომიკური პოლიტიკის ჩარჩო პირობების ჩამოყალიბებაში და საერთშორისო სავალუტო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაში. მის ფუნქციებში შედის წევრი ქვეყნების საკურსო მექანიზმების შერჩევა, ასევე არ დაუშვას საერთშორისო კაპიტალის ნაკადების დესტაბილიზაცია და შეიმუშაოს მსოფლიო მასშტაბით აღიარებული სტანდარტები და პოლიტიკური კოდექსები შესაბამისი სფეროს ინსტიტუტებისათვის. რაც შეეხება ქვეყანასთან ურთიერთობის პროცესში შრომის განაწილების პრინციპს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფუნქციებში შედის:

1. მაკროეკონომიკური საკითხები;
2. საბიუჯეტო დეფიციტი;
3. სავალუტო პოლიტიკა;
4. ინფლაცია;
5. სავაჭრო დეფიციტი;
6. საზღვარგარეთიდან სესხების აღების პროცესი; [6]

სსფ-ს მიზნები უფრო მნიშვნელოვანი გახდა მასში შემავალი ქვეყნების რაოდენობის ზრდასთან ერთად 1945-1971წწ. გაერთიანებული ქვეყნების ძირითადი მიზანი იყო საკუთარი სავალუტო კურსების ფიქსირებული მნიშვნელობის შენარჩუნება აშშ დოლართან ან ოქროს რეზერვებთან მიმართებაში. ფიქსირებული კურსის კორექტირება შესაძლებელი იყო, თუმცა მხოლოდ სავალუტო სისტემის ფუნდამენტური გაუწონასწორელობის აღმოსაფხვრელად. ეს ე.წ. „ბრეტონ ვუდსური“ გაცვლითი კურსის

[6] ზვიად ჩახნაშვილი, ლაურა გოტიაშვილი, ,, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ვაშინგტონის კონსესუსის როლი განვითარებადი ქვეყნებისათვის'', 2013 წლის 26 აგვისტო

სისტემა მოქმედებდა 1971 წ-მდე, მაშინ როცა აშშ-ს მთავრობამ დროებით გააუქმა დოლარის კონვერტირება ოქროში - ფიქსირებული გაცვლითი კურსის სისტემამ შეწყვიტა ფუნქციონირება.

„ბრეტონ ვუსდის“ სისტემის გაუქმების შემდეგ სსფ-ს წევრებს უფლება აქვთ თავიანთი შეხედულებით შეარჩიონ გაცვლითი კურსის სისტემები. უმეტეს ქვეყნებში ფუნქციონირებს მცურავი - თავისუფალი გაცვლითი კუსრის სისტემა, ზოგიერთში ადგილობრივ ვალუტას უკავშირებენ სხვა ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ვალუტებს, ან საკუთარი ვალუტის ხარჯზე მიიღეს სხვა ქვეყნების ვალუტები და ზოგი კი სავალუტო ბლოკებში მონაწილეობენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკისათვის ახალი საკითხები წარმოიშვა, გლობალიზაციამ მოითხოვა რთული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.

სსფ-ს მუშაობამ განიცადა ცვლილება, ორგანიზაციამ ადაპტაცია მოახდინა არსებულ გარემოსთან, გაიზარდა ყურადღება უღარიბესი ქვეყნების მიმართ, მის ფუნქციებს დაემატა გლობალიზაციურ პროცესებში ქვეყნების ჩართვა და პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა, გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში. ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდასთან ერთად მოხდა სხვა ცვლილებებიც, რამაც გააძლიერა სსფ-ს ამოცანების მნიშვნელობა და ამასთან მოითხოვა ადაპტაცია ახალ გარემოსთან. სწრაფმა ტექნოლოგიურმა ზრდამ და კავშირგაბმულობის საშუალებებმა ხელი შეუწყო საერთაშორისო ბაზრების დაახლოებასა და ინტეგრაციას.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას. გლობალიზაციამ განაპირობა წარმოქმნილი ფინანსური კრიზისების უფრო სწარაფად გავრცელება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ასეთი ინტეგრაციისა და ურთიერთდამოკიდებულების ზრდის პირობებში მსოფლიო ეკონომიკური კეთილდღეობა დამოკიდებული გახდა სხვა ქვეყნების ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. გლობალიზაცია მოითხოვს უფრო აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, ეს პროცესი დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს საერთშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის სსფ-ს.

საერთაშორისო საფინანსო სისტემების წესებისა და ინსტიტუტების გამყარების მიზნით სსფ-მ გაატარა რიგი რეფორმები, რის საფუძველზეც გაიზარდა მისი წვლილი მსოფლიო ბაზარზე ფინანსური კრიზისების დაძლევაში. რეფორმების პროცესი კვლავ გრძელდება, მისი მიზანია მეტი ყურადღება დაუთმოს დაწესებულებებს, რომელთა პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მაკროეკონომიკური და ფინანსური სფეროებით. ამასთანავე მისი მიზანია იმუშაოს სხვა დაწესებულებებთან ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც წამოჭრილია გლობალური კაეთილდღეობის დასაძლევად.

1. 2. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრუქტურა და ფუნქციონირების მექანიზმი

სსფ არის დაწესებულება რომელიც სწავლობს გამოცდილების და დიალოგის საფუძველზე. იგი მუდმივად ადაპტირდება ცვალებად პირობებთან და ამ პირობებს მუდმივად ათანხმებს თავის წევრ-ქვეყნებთან. სსფ ორგანიზებულია სააქციო საზოგადოების პრინციპით, მონაწილე ქვეყნების ხმათა რაოდენობა განისაზღვრება ფონდის კაპიტალში მათი წილით. საერთაშორისო სავალუტო ფონდში გადამწყვეტ როლს ასრულებს და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სავალუტო პოლიტიკას აყალიბებს განვითარებული ქვეყნების ე.წ. „ათთა ჯგუფი“ (აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, კანადა, ბელგია, ჰოლანდია და შვეიცარია) ,რომლებსაც გააჩნიათ ხმების უმრავლესობა. განვითარებული ქვეყნების წილი ფონდის კაპიტალის 60,3 %-ს შეადგენს, შესაბამისად მათ მიერ იმართება ორგანიზაცია. ფონდის რესურსები იქმნება საწერვო შენატანების საფუძველზე. კვოტა სსფ-ს წევრი ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების საკვანძო ელემენტია. კვოტიდან გამომდინარე განისაზღვრება ფონდის მართვაში ხმები და სესხების მიღების შესაძლებლობები.[7]

კვოტები ასახავს მსოფლიო ეკონომიკაში წევრი სახელმწიფოების როლს, რაც უფრო დიდია მოცულობა ქვეყნის ეკონომიკაში პროდუქციის გამოშვების და რაც უფრო დიდი და მრავალფეროვანია მისი საერთაშორისო ვაჭრობის წილი, მით უფრო მაღალია მისი კვოტების დონე. უმეტესი კვოტა და შესაბამისად ფონდის გადაწყვეტილებებზე გავლენაც გააჩნია აშშ-ს. სსფ-ის საწესდებო კაპიტალი თავდაპირველად 7,7 მლრდ. დოლარი იყო, რომლის 25%-ს აშშ ფლობდა. 1980-იანი წლების დასაწყისში მისი წილი ფონდის კაპიტალში ყველა შენატანის 1/5-ს შეადგენდა, მაშინ როცა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრი ქვეყნების წილად მოდიოდა მხოლოდ 30%-ზე ოდნავ მეტი. თუმცა, შემდგომ პერიოდში ფონდის წევრი ქვეყნების რიცხვის ზრდამ, დასავლეთ ევროპის ქვეყნების, იაპონიის, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკურმა გაძლიერებამ შეამცირა აშშ-ის წილი. მიუხედავად ამისა, არსებული კვოტა აშშ-ს სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების (მაგ., კვოტების

[7] ზვიად ჩახნაშვილი, ლაურა გოტიაშვილი, ,, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ვაშინგტონის კონსესუსის როლი განვითარებადი ქვეყნებისათვის'', 2013 წლის 26 აგვისტო

ცვლილება, სსფ-ის წესდებაში ცვლილებების შეტანა და ა.შ.) დაბლოკვის საშუალებას აძლევს. აშშ-ს, როგორც მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკის მფლობელს სსფ-ში ყველაზე მაღალი შენატანი შეაქვს კვოტების საერთო მოცულობის 17,5 %. პალაუს კი როგორც ყველაზე პატარა ეკონომიკის მფლობელს მთლიანი კვოტების მოცულობის 0,001% . დღეისათვის 10 ყველაზე მაღალი კვოტის მქონე წევრი სახელმწიფოა:

1. აშშ -17,5%
2. იაპონია -6,3%
3. გერმანია -6,1%
4. საფრანგეთი-5%
5. გაერთიანებული სამეფო - 5%
6. იტალია - 3,3%
7. საუდის არაბეთი-3,3%
8. კანადა -3%
9. ჩინეთი- 3%
10. რუსეთი-2,8%;

თითოეული სახელმწიფოს კვოტური შენატანის ოდენობა განისაზღვრება ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომელთა გადახედვაც პერიოდულად ხდება. საწევროების 25 პროცენტი იხდება იაპონურ იენას ან აშშ დოლარში, ხოლო 75 პროცენტი - ეროვნულ ვალუტაში. კრედიტების ოდენობა, რომელიც შეიძლება ავტომატურად მიიღოს თითოეულმა ქვეყანამ, შეეფარდება მის "ოქროს წილს". ფონდიდან ამ ოდენობაზე მეტი თანხის მიღება შეზღუდულია. კრედიტები ფონდის წევრ ქვეყანას ეძლევა მისთვის საჭირო უცხოური ვალუტის მიყიდვის გზით, რაშიც ვალდებულია გადაიხადოს ეროვნული ვალუტა. ფონდის კრედიტების გაცემა, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისათვის, განპირობებულია ფინანსურ-ეკონომიკური ან სოციალურ-პოლიტიკური ვალდებულებებით. სსფ-ს შემავალი ქვეყნების შიშის გამო, რომ არსებული საერთაშორისო რეზერვები და მათი პოტენციური ზრდა შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი საერთაშორისო ვაჭრობის უზრუნველსაყოფად .

1969 წელს იქნა შემოღებული საერთაშორისო სარეზერვო აქტივი SDR ანუ უფლება სეხების შესახებ. ძირითად სარეზერვო აქტივს იმ პერიოდში წარმოადგენდა ოქრო და აშშ დოლარი. სსფ-ს წევრებს არ სურადათ მათი მსოფლიო რეზერვები დამოკიდებული ყოფილიყო ოქროს მოპოვებაზე ან აშშ-ს საგადამხდელო ბალანსის სტაბილურობაზე. SDR-შემოღებულ იქნა როგორც დამატებითი სარეზერვო აქტივი. საჭიროების შემთხვევაში სსფ-ს შეეძლო მისი განაწილება მოეხდინა წევრ-სახელმწიფოებს შორის ან მოეხდინა ანულირება. SDR-ს ხანდახან ქაღალდის ოქროსაც ეძახიან, თუმცა მათ ფიზიკური ფორმა არ გააჩნიათ, ისინი ასახულია წევრი ქვეყნების ბუღალტრულ ჩანაწერებში. სსფ-ს წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ SDR-ს გამოყენება ერთმანეთს შორის საოპერაციო საქმიანობისას, SDR ასევე გვევლინება სსფ-ს გამოთვლის ერთეულად. მრავალი საერთშორისო და რეგიონალური ორგანიზაცია იყენებს გათვლის ერთეულად მას. SDR-ს ღირებულება დგინდება ყოველდღიურად 5 ძირითად ვალუტასთან მიმართებით : ევრო, იაპონური იენი, ფუნტი სტერლინგი და აშშ დოლარი, ჩინური იუანი (2016 წლიდან) ამ კალათის შემადგენლობა ყოველ 5 წელიწადში ერთხელ გადაიხედება, ვინაიდან კალათაში შემავალი ვალუტები ასახავს მათ მნიშვნელობას ფინანსურ და მსოფლიო სავაჭრო სისტემებში. 2009 წლის მონაცემებით სსფ-მ 204 მლრდ. SDR გამოუშვა. SDR-ის ბოლო ემისია 1981 წელს განხორციელდა. რამდენადაც მას შემდეგ ფონდში კიდევ 40 ქვეყანა გაწევრიანდა, მათ არასდროს არ მიუღიათ SDR-ი. განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნამ SDR -ის ახალი განაწილებას მიბმოდა ამ სარეზერვო აქტივის ეკონომიკური განვითარების დაფინანსებისათვის გამოყენების უფლება, გაართულა დამატებითი ემისიის საკითხის გადაჭრა. კონსენსუსის მიღწევის შემდეგ, 1997 წელს, სსფ-ის მმართველთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ე.წ. სამართლიანი ემისიის შესახებ. სამართლიანობა გამოიხატება იმაში, რომ SDR-ის ემისიის საერთო მაჩვენებელმა თითოეული წევრი ქვეყნისათვის 1998 წლის ბოლოს არსებული კვოტის 30% უნდა შეადგინოს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის აღნიშნული ქვეყნების საერთაშორისო რეზერვების მოცულობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სსფ-ის ფინანსური რესურსების საფუძველს წევრი ქვეყნების კვოტა წარმოადგენს. [8]

[8] https://www.imf.org/en/About/Factsheets/Sheets/2016/08/01/14/51/Special-Drawing-Right-SDR

კვოტის სიდიდეზე დამოკიდებულია:

წევრი ქვეყნების ხმების რაოდენობა (ყველა ქვეყანა ფლობს 250 საბაზო ხმას, რომელსაც ემატება ერთი ხმა ყოველ 100000 SDR-ზე მისი კვოტიდან);

სსფ-ის რესურსების ხელმისაწვდომობა, რომელიც განისაზღვრება არა აბსოლუტურ მაჩვენებლებში, არამედ, როგორც პროცენტი კვოტიდან;

SDR-ს – რაოდენობა, რომლის მიღება შეუძლია ქვეყანას მისი განაწილებისას. SDR-ს ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება სპეციალურ ბაზარზე, სადაც ქვეყნები ნებაყოფლობით ახორციელებენ ვაჭრობას. თუმცა არსებობს განსაზღვრული ლიმიტი. კერძოდ, ვაჭრობის შესახებ დადებული ხელშეკრულებების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინასწარ განსაზღვრულ ოდენობას. (2010 წელს დაიდო 32 ხელშეკრულება, რომელთაგანაც მხოლოდ იყო ახალი დადებული).

საერთაშორისო სავალუტო ფონდში გადაწყვეტილებებს ღებულობენ ხმების უმრავლესობით, უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ხმების 85% მაინც, რაც შეეხება ხმების გადანაწილების პრინციპს, ის სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებასა და სავალუტო შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. ხმებიც ფონდში შეტანილი კვოტების მიხედვით ნაწილდება. თავიდან ყველა სახელმწიფოს თანაბარი რაოდენობა – 250 ხმა აქვს, მაგრამ ყოველ შეტანილ 100 ათას დოლარზე დამატებით კიდევ ერთ ხმას იძენს.

სსფ-ს შეუძლია აიღოს სესხები კვოტების შევსების მიზნით ან საერთაშორისო სავალუტო სისტემის საფრთხეების აღმოსაფხვრელად. მას სესხების მიღების ორი მუდმივი მექანიზმი გააჩნია:

1. სესხების შესახებ გენერალური შეთანხმების მეშვეობით, რომელიც დაარსდა 1962 წელს შედის 11 მონაწილე.(10 განვითარებული სახელმწიფო ან ცენტრალური ბანკები და შვეიცარია);

2. ახალი შეთანხმებები სესხზე - 1997 წელს ჩამოყალიბებული დაწესებულება, მისი მონაწილეა 25 სახლემწიფო. (ამ შეთანხმებების მეშვეობით სსფ-ს შეუძლია მიიღოს სესხი 35 მლრდ. SDR-ის მოცულობით, რაც მიახლოებით 50 მლრდ აშშ $ უდრის.)

ფონდის უმაღლესი ორგანოა მმართველთა საბჭო. იგი განსაზღვრავს ფონდის პოლიტიკას. მასში შედიან წევრი სახელმწიფოების მიერ 5 წლის ვადით არჩეული მმართველი და მისი მოადგილეები, წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრები ან ცენტრალური ბანკის მმართველები.[9] მმართველთა საბჭოს სესია იკრიბება წელიწადში ერთხელ, სადაც ამტკიცებენ ფონდის საქმიანობას და წლიურ ანგარიშს, განიხილავენ განცხადებებს ახალი წევრების მიღებისა და ძველი წევრების გარიცხვის შესახებ, საწესდებო კაპიტალის ცვლილების საკითხებს და სხვა. სსფ-ის მიმდინარე საქმიანობას უძღვება აღმასრულებელი საბჭო (დირექტორატი). ოცდაოთხი აღმასრულებელი დირექტორიდან ხუთი, ყველაზე დიდი კვოტის მქონე ქვეყნებიდან (აშშ, იაპონია, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი) ინიშნება. დანარჩენ დირექტორებს ირჩევს მმართველთა საბჭო რეგიონული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით. აღმასრულებელი საბჭოს სხდომები კვირაში რამდენიმეჯერ იმართება. როგორც წესი, დირექტორატი გადაწყვეტილებების მიღებისას ეფუძნება, იმ მასალებს და მოხსენებებს, რომელიც ადმინისტრაციულმა აპარატმა მოამზადა. ფორმალურად სსფ-ის ყველა ჩინოვნიკი მხოლოდ ფონდის ხელმძღვანელობას ექვემდებარება, ხოლო ქვეყნის მთავრობას ეკრძალება მათზე ყოველგვარი ზემოქმედება. დირექტორთა არჩევა დანიშვნა 2 წელიწადში ერთხელ ხდება. დირექტორატი ნიშნავს განმკარგულებელ დირექტორს, რომელიც თავმჯდომარეობს დირექტორატის სხდომებს და მის სამ მოადგილეს. განმკარგულებელი დირექტორი სსფ-ის ტრადიციებით ევროპიდან ინიშნება, ხოლო მისი პირველი მოადგილე აშშ-დან. განმკარგულებელი დირექტორი უძღვება დირექტორატის სხდომებს (ხმის უფლების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხმები თანაბრად იყოფა) და ხელმძღვანელობს ადმინისტრაციულ აპარატს. ფონდი წევრ სახელმწიფოებთან ურთიერთობას ანხორციელებს რეგიონული განყოფილებების მეშვეობით. სსფ შედგება 26 დეპარტამენტისა და ქვედანაყოფისაგან.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შემადგენლობაშია რეგიონული დეპარტამენტი:

[9] ზვიად ჩახნაშვილი, ლაურა გოტიაშვილი, ,, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ვაშინგტონის კონსესუსის როლი განვითარებადი ქვეყნებისათვის)'', 2013 წლის 26 აგვისტო

• აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონული დეპარტამენტი;

• აფრიკის რეგიონული დეპარტამენტი;

• ევროპის რეგიონული დეპარტამენტი;

• ჰემპშირის რეგიონული დეპარტამენტი;

•ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიის რეგიონული დეპარტამენტი; [10]

ფონდში ასევე ფუნქციონირებს ცენტრალური ბანკების, სავალუტო-სავაჭრო ურთიერთობების, საბიუჯეტო-საგადასახადო საკითხების, სამართლებრივი და კვლე

სსფ-ის წევრი ქვეყნები შეიძლება 3 ჯგუფად დავყოთ: დონორები; რეცეპიენტები და ნეიტრალები. დონორები თავიანთი შენატანებით ამ ორგანიზაციების ფინანსურ წყაროებს ქმნიან. რეცეპიენტები ამ ორგანიზაციებიდან რეფორმების ჩასატარებლად ფინანსურ დახმარებას იღებენ. რეცეპიენტი წევრი ქვეყნისთვის საფინანსო მხარდაჭერის მისაღებად საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამით მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაა აუცილებელი. ამისთვის კი ქვეყნის ცენტრალური ბანკი საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან შეღავათიან კრედიტს იღებს, რაც ქვეყნის საერთაშორისო სავალუტო რეზერვის ზრდას უზრუნველყოფს. ნეიტრალებს არ სჭირდებათ დახმარება ან უკვე აღარ სჭირდებათ და შესაძლებლობათა სიმწიფის ან სხვა მიზეზის გამო არც თავად მონაწილეობენ ამ ორგანიზაციების საფინანსო წყაროების შექმნაში. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით სადაც ერთი ქვეყანა წარმოადგენს ერთ ხმას, სსფ-ში რაც მეტი კვოტაა აქვს ქვეყანას, განმსაზღვრელი ძირითდად მისი ეკონომიკური საზღვრების, მით უფრო მეტი ხმის უფლებით სარგებლობს ის. თუმცა საბჭო იშვიათად იღებს გადაწყვეტილებებს ფორმალური კენჭისყრით გზით, ვინაიდან უმეტესი გადაწყვეტილებები დაფუძნებულია კონსესუსზე. სხვა საერთშორისო ორგანიზაციებთან კავშირისათვის სსფ-ს გააჩნია განყოფილება პარიზსა და ტოკიოში, ასევე აქვს განყოფილება ნიუ-იორკსა და ჟენევაში. ძირითდად გაეროს სხვა დაწესებულებებთან კავშირის გაადვილებისათვის. ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია მიმართოს სსფ-ს ფინანსური დახმარებისთვის. როცა

[10] ზვიად ჩახნაშვილი, ლაურა გოტიაშვილი, ,, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ვაშინგტონის კონსესუსის როლი განვითარებადი ქვეყნებისათვის)'', 2013 წლის 26 აგვისტო

სახელწიფო სსფ-ს მიმართავს დაფინანსებისთვის სესხის აღების მიზეზი შესაძლოა იყოს: სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის სპეკულაციური შეტევები, საერთშორისო რეზერვების ამოწურვა, ეკონმიკური აქტივობის შეჩერება ან კლება, გაბანკროტებულთა რიცხვის ზრდა, ეკონომიკურ კრიზისთან მიახლოება და სხვა. ამ მდგომარეობიდა გაამოსავალია გარე დაფინანსება. სსფ იძლევა რეკომენდაციებს ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას იძლევა განისაზაღროს არსებული პრობლემების შედარებით ეფექტური გადაწყვეტა. სსფ-ს ფინანსური თანადგომის პროგრამები შემუშავებულია წევრი ქვეყნების ხელისუფლებების მიერ მჭიდრო თანამშრომლობის საფუძელზე, მათი კონკრეტული მოთხოვნილებებისა და მდგომარეობის გათვალისწინებით. სსფ გასცემს კრედიტებს სხვადასვა წესებისა და მექნიზმების მეშვეობით. სესხების დაფარვის ვადები ამ მექანიზმების მიხედვით განსხავავებულია, რაც საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობასა და პრობლემების სისდიდეზეა დამოკიდებული. სსფ-ს გააჩნია სამი განსხავებული სასესხო პოლიტიკა:

- სარეზერვო კრედიტებზე შეთანხმება - „ სტენდ-ბაი“-1952 წელს იქნა პირველად გამოყენებლი საგადამხდელო ბალანსის მოკლევადიანი პრობლემების გადასაჭრელად. „სტენდ-ბაი“ შეთანხმება გულისხმობს ფონდის მიერ დადგენილი მაკროეკონომიკური პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, განსაზღვრული თანხის მოცულობით საკრედიტო ხაზის გახსნას შეთანხმების პერიოდში.

- გაფართოებული და დამატებითი დაფინანსების მექანიზმი - საშუალო ვადიანი პროგრამების დაფინანსებას გულისხმობს, საგადამხდელო ბალანსთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის მიზნით. ამ სახის კრედიტების მისაღებად ქვეყანა წარადგენს პრობლემების დაძელვის პროგრამას, პროგრამის მოწონების შემთხვევაში ფონდი გასცემს კრედიტს, დამატებითი დაფიანასების მექანიზმი გაფართოებულისაგან იმით განსხავადება რომ კრედიტი გაიცემა არა მხოლოდ საკუთარი, არამედ ფონდის მიერ ნასესხები სახსრებითაც.

- საკრედიტო წილების მექანიზმი ფონდის საერთო რესურსების გამოყენების მექანიზმია. უცხოურ ვალუტაში გამოხატული თანხები, რომლებიც ქვეყნის კვოტის ტოლია, შეიძლება მიღებულ იქნას 25 % მოცულობით, 4 ტრანშის სახით. ყოველი

ტრანში შეესაბამება საკრედიტო წილს, საკრედიტო წილის გაცემა განსაზღვრული პირობობების შესრულებას მოითხოვს. ამასთან ყოველი მომდევნო ტრანშის მისაღებად მოთხოვნები მკაცრდება.

- სარეზერვო წილების მექანიზმი გულისხმობს ფონდიდან ქვეყნის მიერ თავის ფულის დროებით აღებას, საკომისიოს და პროცენტების დარიცხვა-გადახდის გარეშე. 1970 წლის ბოლოს სსფ-მ გასცა კრედიტები ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად. 1990-იან წლებში სსფ-მ შეიმუშავა მექანიზმები იმ ქვეყნებისათვის რომლებიც განიცდიდნენ საბაზრო ნდობის დაკარგვას; ახალი მექანიზმების შემუშავებასთან ერთად უქმდება მექანიზმები რომელთა საჭიროებაც აღარ არსებობს. 2000-წლის დასაწყიში აღმასრულებელმა საბჭომ დაიწყო შემუშავებული მექანიზმების გადახედვა და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

- დაეკორექტირებინათ „სტენდ-ბაი“ კრედიტები და გაფართოებული შეთანხმების პირობები, რათა აღმოეფხვრათ სსფ-ს რესურსების გრძელავდიანი პერიოდისათვის სახელმწიფოს მხრიდან გამოყენება.

- სსფ-ს გაფართოებული კრედიტის მექანიზმის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება დასაშვები როცა ქვეყანას რეალურად გამოუჩნდება გრძელვადიანი დაფინანსების საჭიროება.

- სსფ-ს მხარდამჭერი პროგრამების მონიტორინგის გაძლიერება, მათი ვადის ამოწურვის შემდეგ. განსაკუთრებით მაშინ, როცა დაუფარავი კრედიტები აჭარბებენ განსაზღვრულ დონეს. სსფ-ს პოლიტიკა მონეტარისტულია, რაც იმას ნიშნავს რომ ურთიერთდაკავშირებულ სიდიდეებად განიხილება, ერთის მხრივ ქვეყნის ფულადი მასის სიდიდე, ერთობლივი მოთხოვნის მოცულობა და მეორეს მხრივ საგადასახდელო ბალანსის წონასწორობა.

ფონდის ფინანსური რესურსებით სარგებლობის პირობა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

* წინასწარი ქმედება - ფონდიდან ფინანსური რესურსების მიღებამდე, კეთილი ნების დასამტკიცებლად მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები;

* პროგრამის შესრულების კრიტერიუმები - რაოდენობრივი ინდიკატორები, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს, შიგა კრედიტების მოცულობას, საერთაშორისო რეზერვებს და ა.შ., კრიტერიუმები. როგორც წესი განისაზღვრება სამთვიანი ან ნახევარწლიანი პერიოდისათვის, მათი შესრულება უზრუნველყოფს სსფ-ის რესურსების ხელმისაწვდომობას;

* ინდიკატორები - მათი მეშვეობით შეიძლება ვიმსჯელოთ არსებულ ტენდენციებზე და ვიწინასწარმეტყველოთ პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები;

* შემოწმება - პერიოდულად ხდება აღმასრულებელი საბჭოს მიერ, შეთანხმებული პროგრამის შესრულების მონიტორინგი. სსფ-ის ფინანსური რესურსები წევრი ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომი ხდება სამი ძირითადი "წყაროს" ფარგლებში, რომელსაც ფინანსურ შესაძლებლობებს უწოდებენ, ესენია:

1) სტანდარტული - თავისი მოცულობით ყველაზე მასშტაბურს წარმოადგენს სტანდარტული სქემა. ის გულისხმობს რესურსების გამოყოფას სარეზერვო შეთანხმების საფუძველზე. ამ დროს ფინანსური რესურსები 12-18 თვის ვადით დროებითი მაკროეკონომიკური სირთულეების დასაძლევად გამოიყოფა. თუმცა შესაძლოა აღნიშნული სქემა გულისხმობდეს ასევე რესურსების გამოყოფას უფრო გრძელვადიანი პერიოდითაც, როგორიცაა 3 წლიანი პროგრამები 4.5-7 წლამდე დაფარვის ვადით.

2) შეღავათიანი - სსფ-ს კრედიტების სტრუქტურაში თავისი მასშტაბებით მეორეა შეღავათიანი დაფინანსების "წყარო''. 1980-იანი წლების ბოლოდან, ფონდმა დაიწყო უღარიბეს ქვეყნებზე შეღავათიანი სესხების გაცემა. 1999 წელს გაფართოვების სტრუქტურული გარდაქმნის გაფართოვებულ მექანიზმს ეწოდა სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის საშუალება (PRGF). ამ პროგრამით სარგებლობა შეუძლია მსოფლიოს 81 უღარიბეს ქვეყანას, სადაც სულადობრივი შემოსავალი წელიწადში 825 აშშ დოლარს არ აღემატება. საგადასახდელო ბალანსის დეფიციტთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრასთან ერთად, ძირითადი აქცენტი კეთდება მყარი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაზე, რამაც სტიმული უნდა მისცეს ცხოვრების დონის ამაღლებას და სიღარიბის შემცირებას. თანხები გაიცემა 3 წლიანი პროგრამის ჩარჩოებში,

0.5% -იანი საპროცენტო განაკვეთით, 5 წლიანი შეღავათიანი პერიოდით და 10 წლიანი დაფარვის ვადით. შეღავათიანი "წყაროს'' ჩარჩოებში ასევე ფუნქციონირებს საგარეო ვალის მძიმე ტვირთის მქონე უღარიბესი ქვეყნების დახმარების ინიციატივა (HIPC).

3) სპეციალური წყარო მოიცავს სამ ძირითად პროგრამას:

- კომპენსაციური დაფინანსების პროგრამა (CFF), პროგრამა დაფუძნდა 1963 წელს, რომელიც ითვალისწინებს რესურსების გამოყოფას სტიქიური უბედურების, ექსპორტიდან შემოსავლების მოულოდნელი შემცირების, ან იმპორტული სურსათის მოულოდნელი გაძვირების შემთხვევაში. კრედიტის დაფარვის ვადაა 4 წელი.

- დამატებითი სარეზერვო დაფინანსების პროგრამა (SRF). პროგრამა დაფუძნდა 1997 წელს. რესურსები გამოიყოფა ქვეყნისათვის, რომელიც განიცდის მკვეთრ დანაკარგებს "ბაზრის მიმართ ნდობის მოულოდნელი დაკარგვის გამო. კრედიტის დაფარვის ვადა 1.5 წელს შეადგენს, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება 2.5 წლამდე გაგრძელდეს. სესხის მოკლე ვადაში დაფარვის სტიმულირების მიზნით იზრდება საპროცენტო განაკვეთი.

- ექსტრემალური პირობების დაფინანსების პროგრამა (CCL). პროგრამა დაფუძნდა 1999 წელს. ქვეყანას, რომელსაც გააჩნია მყარი ეკონომიკური პოზიცია, განსაკუთრებულ შემთხვევაში საშუალება ეძლევა ისარგებლოს ფონდის რესურსებით. იმისათვის, რომ ქვეყანამ ამ საშუალებით მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობისას ისარგებლოს, კრედიტები გაიცემა საბაზრო პროცენტზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით. ვალის დაფარვის ვადაა 1.5 წელი, თუმცა შესაძლოა 2.5 წლამდეც გაგრძელდეს.

ახლანდელ დროში სსფ-ს მსესხებლებად გვევლინებიან განვითარებადი ქვეყნები, ქვეყნები რომლებიც გეგმიური ეკონომიკიდან გადადიან საბაზრო ეკონომიკაზე. ასევე ქვეყნები ფორმირებადი ბაზრებით, რომლებიც ფინანსური კრზისის შედეგების დაძლევას ცდილობენ. დაფინანსების ჩვეულებრივი მექანიზმების გარდა მოქმედებს საკომპენსაციო მექანიზმები, რომლთა მიზანია ფონდის მიერ მოწონებული რეფორმების მხარდაჭერა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სირთულეების დაძლევა, საექსპორტო დანაკარგების ანაზღაურება.

ფონდს აქვს საგანგებო დახმარების მექანიზმი, რომელიც სტიქიური უბედურებების შემთხვევაში გამოიყენება. აგრეთვე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნების დახმარების მექანიზმი, რომელშიც 72 წევრი ქვეყანა შედის. მიუხედავად ამდენი ხელშემწყობი მექანიზმისა გასათვალისწინებელია დაკრედიტების უმნიშვნელოვანესი ელემენტები:

1. სსფ არაა დახმარების გაწევის სააგენტო ან განვითარების ბანკი. ის გასცემს კრედიტებს რათა წევრ სახელმწიფოებმა დაარეგულირონ საგადამხდელო ბალანსთან დაკავშირებული პრობლემები.

2. კრედიტების განათავსება უცხოურ ვალუტაში და გასაცემი თანხა განისაზღვრება წევრი ქვეყნების კვოტების მოცულობის მიხედვით. ისინი დეპონირდება ცენტრალურ ბანკებში საერთაშორისო რეზერვების შევსებისათვის, ამასთან საერთო თანადგომის გამოსახატავად საგადამხდელო ბალანსის რეგულირებისათვის.

3. სსფ არ გასცემს კრედიტებს კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად ან რომელიმე საქმიანობის სახეეების მიხედვით.

4. სსფ კრედიტების განათავსება დაფუძნებულია წევრი ქვეყნების პოლიტიკით, ისინი ვალდებულნი არიან ნასესხები სახსრები გამოიყენონ საგადამხდელო ბალანსის პრობლემების აღმოსაფხვრელად.

ეს მოთხოვნა განპირობებულია მოტივით რათა ქვეყნებმა მოახდინონ ნასესხები ვალდებულებების მიზნობირვად გამოყენება. ფონდი ძირითადად ცხრა კრიტერიუმის შესრულებას ითხოვს:

1. მოვალეთა მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართულია საგადასახდელო ბალანსის აქტიური სალდოს უზრუნველსაყოფად, რომელიც მიიჩნევა ვალისა და პროცენტის ძირითდი ნაწილის გადახდის ფაქტორად;

2. შიდა მოთხოვნის სტაბილიზაცია სახელმწიფო ხარჯების შეზღუდვის ხარჯზე;

3. სესხის გამოყენება საწარმოო სფეროს დასაფინანსებლად ; ვალის ძირითადი ნაწილის და პროცენტის გადახდა საწარმოო სფეროში მიღებული მოგების ხარჯზე

4. უდეფიციტო სახელმწიფო ბიუჯეტის უზრუნველყოფა გაუმართლებელი სახელმწიფო ხარჯების შემცირებისა და ინფლაციის შეკავების ხარჯზე.

5. ეფექტაინი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტირებისა და მეწარმეობის განვითარებას; უზრუნველყოფს გადასახადების ამოღებას სახელმწიფო ხარჯების დასაფარად;

6. ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია, რაც ვარაუდობბს დევალვაციის გატარებას, ცალკეულ შემთხვევებში ფულის რეფორმას;

7. საბაზრო მექანიზმებისა და კონკურენციის, როგორც ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების საშუალების მაქსიმალურ გამოყენებას; ფასებსა და ხელფასებზე კონტროლის მოხსნა, თავისუფალი დაშვება შიდა ბაზარზე და კონკურენცია იმპორტული საქონლის მხრიდან.

8. ეკონომიკის სტრუქტურის გარდაქმნის განხორციელება.

9. ,პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა,რადგან ხელისუფების შეცვლას თან სდევს სესხების ჩათვლით ვალდებულებათა მემეკვიდრეობის საკითხების გადაწყვეტა.

სსფ-დან ფინანსური რესურსების მიღების ყველა ფორმა ეფუძნება ქვეყნის მთავრობის მიერ განსაზღვრული პირობების შესრულებას, რომელსაც ეკონომიკური რეფორმის პროგრამის ჩარჩოებში ერთობლივად განსაზღვრავს მთავრობა და ფონდის ექსპერტები. გადაწყვეტილების მიღებისას ორივე მხარე თავისუფალია: თუ მთავრობა არ ეთანხმება სსფ-ის პირობებს, ის უფლებამოსილია არ გამოიყენოს მისი რესურსები, ხოლო თუ მთავრობის პირობები მიუღებელია ფონდისათვის, მას სრული უფლება გააჩნია, არ გამოყოს რესურსები. ამიტომ, სსფ-ის ფინანსური რესურსებით სარგებლობა, როგორც წესი, დაკავშირებულია ექსპერტების თავდაუზოგავ შრომასთან, ორმხრივ და მრავალმხრივ მოლაპარაკებებთან, რომელსაც ურთიერთმისაღებ კომპრომისამდე მიყავს მხარეები.

1.3. გლობალური ფინანსური სისტემის თანამედროვე მოთხოვნები და საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის შექმნა იმის აღიარებას ნიშნავდა, რომ სავაჭრო ბაზარი ხშირად წარუმატებლად მუშაობს, რომ მან შესაძლოა წარმოშვას უმუშევრობის დიდი ტალღა და ხშირად მას არ შეუძლია საჭიროების შემთხვევაში ქვეყნები იმ დახმარებით უზრუნველყოს, რომელიც ეკონომიკის აღორძინებას შეუწყობს ხელს. ამ ორგანიზაციის შექმნის პროცესი ეფუძნებოდა რწმენას, რომ ეკონომიკური სტაბილურობისათვის აუცილებელია კოლექტიური მოქმედება გლობალურ დონეზე. ბერლინის კედლის დაცემამ საერთაშორისო სავალუტო ფონდს ახალ არენაზე გაუხსნა ასპარეზი. ორგანიზაცია წარმართავდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებსა და ევროპის კომუნისტური ბლოკის ქვეყნებში. მოგვიანებით როცა კრიზისი გამწვავდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსებიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი. საჭირო გახდა აღნიშნულ პროცესში მსოფლიო ბანკის ჩართვა. გამოიყო ათობით მილიონი დოლარი, მსოფლიო ბანკი ამჯერად უმცროსი პარტნიორის როლში მოგვევლინა, რადგან ქცევის წესები საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ იყო დადგენილი.

დღეისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის გამოყოფს თანხებს, რომლებიც გადასახადების აწევით ან საპროცენტო განაკვეთის აწევით არიან დაკავებულნი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი უმთავრესად მარეგულირებელ, კონსულტაციურ და საფინანსო ფუნქციებს ასრულებს. ახდენს წევრი ქვეყნების იმ პოლიტიკის ზედამხედველობა, რომელსაც კონკრეტული ქვეყანა ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებით იღებს. [11]

საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის ყველაზე დადებითი შედეგი არის ის, რომ იგი არეგულირებს ქვეყნის შიგნით მაკროეკონომიკურ მდგომარეობას.

[11] ზვიად ჩახნაშვილი, ლაურა გოტიაშვილი, ,, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ვაშინგტონის კონსესუსის როლი განვითარებადი ქვეყნებისათვის) 2013 წლის 26 აგვისტო''

იქმნება მაკროეკონომიკური სტაბიულიურობა, ქმნის ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზას, რომელიც საბიუჯეტო და ფულად–საკრედიტო პროცესს არეგულირებს. აყალიებებს ორსაფეხურიან საბანკო სისტემას, რომელშიც გამიჯნულია ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ფუნციები, ახდენს საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, ხელს უწყობს ფასების ლიბერალიზაციას, ასევე ხელს უწყობს საერთაშორისო სავალუტო თანამშრომლობას. თვალს ადევნებს სავალუტო შეთანხმებების დაცვას და მიმდინარეობის პროცესს. ეხმარება წევრ ქვეყნებს ვალუტის სტაბილურობის შენარჩუნებაში. გასცემს მოკლვადიან, საშუალოვადიან და ნაწილობრივ გრძელვადიან სესხებს. უწევს ქვეყნებს ტექნოლოგიურ დახმარებას თვალსაზრისით და იძლევა კონსულტაციებს მეურნეობის წამოების მეთოდების გაუმჯობესების შესახებ. ვაშინგტონის კონსესუსის იდეა პირველად წამოაყენა ჯონ უილიამსონმა, რაც წარმოადგენდა საერთაშრისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და აშშ-ს ხაზინის შეთანხმებას - გავითარებადი ქვეყნებისათვის „სათანადო პოლიტიკის შემუშავების შესახებ“-ეს იყო ახალი, რადიკალურად განსხვავებული მიდგომა ეკონომიკური განვითარებისა და სტაბილურობის საკითხებისადმი. იგი მოიცავდა რეკომენდაციებს ფინანსურ, ფისკალურ, შემოსავლების, პრივატიზაციისა და საგარეო ტარიფების სფეროებში. [12]

ვაშინგტონის კონსენსუსი გულისხმოდა საგარეო ტარიფების ლიბერალიაზაციას და შემცირებას, ინტელექტუალური თუ კერძო საკუთრების დაცვას, შემოსავლების რეგულაციას, ვაჭრობის ლიბერალიზაციას, საბაზრო კონკურენციის ამაღლებას და წარმოების მონოპოლიზაციის აღმოფხვრას, აგრეთვე, ფინანსურ დერეგულაციას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, უცხოური კომპანიების მიერ ადგილობრივი კომპანიების შეძენასა და შვილობილი კომპანიების დაფუძნების შეუზღუდაობის უფლებას. დაარსებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა საკუთარი მისია ვერ შეასრულა. არ გააკეთა ის რაც უნდა გაეკეთებინა - ფული გამოეყო ქვეყნებისათვის, რომლებიც ეკონომიკურ სირთულეებს

[12] ზვიად ჩახნაშვილი, ლაურა გოტიაშვილი, ,, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ვაშინგტონის კონსესუსის როლი განვითარებადი ქვეყნებისათვის) 2013 წლის 26 აგვისტო''

განიცდიდნენ. უფრო მეტიც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ინიცირებულმა პოლიტიკამ, მაგალითად, კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციამ გლობალურ არასტაბილურობას შეუწყო ხელი. როცა ესა თუ ის ქვეყანა კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა სიტუაცია არა თუ არ გააუმჯობესა, არამედ უფრო გაამწვავა, განსაკუთრებით ღარიბი ქვეყნებისათვის. ასევე, წარუმატებლად დასრულდა კომუნიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის მართვა. ფონდის მთავარ პრობლემას წარმოადგენს უზრუნველყოს საერთაშორისო ლიკვიდურობა, ე.ი. ქვეყნებმა შეუფერხებლად განახორციელონ საგარეო–სავაჭრო და სხვა ოპერაციები და საგადასახადო ბალანსის აქტიური სალდო თავისუფლად გადააქციონ ანგარიშსწორებისათვის საჭირო ვალუტად. საერთაშორისო სალიკვიდაციო საშუალებებად კი მიღებულია ოქრო და დოლარი.

ფონდი ნაკლებად ითვალისწინებს სამიზნე ქვეყანასთან ურთიერთობის პროცესში ქვეყნის შიგნით არსებულ არაეკონომიკურ ფაქტორებს : საზოგადოებრივ ჯანდაცვას, განათლების დონეს, განსაკუთრებით აფრიკულ ქვეყნებში. ხშირად ფონდის მიერ გაცემული რჩევები არაადეკვატური და განსახორციელებლად თითქმის შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ყურადღების მიღმა რჩება განსხვავებები განვითარებად ქვეყნებს შორის, ეს შეიძლება იყოს გეოგრაფიული, დემოგრაფიული, პოლიტიკური და სხვ. სესხის მიმღები ქვეყნის უუნარობიდან კი გამომდნარეობს პოლიტიკური არასტაბილურობა. არაადეკვატური რჩევები უმეტესად არაეფექტურია, რაც ეკონომიკური კრიზისის კიდევ უფრო გამწვავების საწინდარი ხდება. ქვეყანაში იზრდება უკმაყოფილება მმართველი ფენის მიმართ და იწყება პოლიტიკური დესტაბილიზაცია. ვაშინგტონის კონსესუსის პოლიტიკა, რომელიც განვითარებად ქვეყნებში ტარდებოდა, შეუფერებელი იყო მათთვის, ვინც განვითარების ადრეულ სტადიაზე იმყოფებოდნენ ან სადაც გარდამავალი პერიოდი ახალ სტადიაზე იყო. ყველაზე ძლიერი ქვეყნები აშშ და იაპონია ნელ-ნელ ეტაპობრივად აშენებდნენ საკუთარ ეკონომიკას, ამორჩევით და გეგმაზომიერად უწევდნენ პროტექციას რამდენიმე სახის წარმოებას, სანამ ეს ბიზნესები იმდენად არ განვითარდა, რომ უცხოური

კომპანიებისათვის გაეწია კონკურენცია. განვითარებადი ქვეყნები აიძულეს იმპორტირებული პროდუქტისთვის გაეხსნათ საკუთარი ბაზრები, შემოტანილი პროდუქცია კი კონკურენციას უწევდა ადგილობრივ წარმოებას. შედეგად კი სისტემატურად მცირდებოდა სამუშაო ადგილები, ამას ემატებოდა მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება სავალუტო ფონდის მოთხოვნის შესაბამისად, რაც მაღლა სწევდა საპროცენტო განაკვეთს და შეუძლებებლს ხდიდა ახალი სამუშო ადგილების წარმოქმნას. ლიბერალიზაციამ ბევრ შემთხვევაში დაპირებული ზრდის ნაცვლად სიღარიბის მატება გამოიწვია.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ძირითადი პრობლემა მმართველობაა. ამ ორგანიზაციაში ყველაზე მდიდარი ინდუსტრიული ქვეყნები დომინირებენ. მიღებული გადაწყვეტილებებიც ხშირად შესაბამისად ამ ქვეყნების ფინანსურ და კომერციულ ინტერესებს გამოხატავს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებები ძირითადად განვითარებადი ქვეყნებისთვისაა გამიზნული, ორგანიზაციების მმართველები კი განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები არიან, რომელთა არჩევაც დახურულ კარს მიღმა ხდება. მათი არჩევის წინაპირობა არასოდეს ყოფილა განვითარებად სამყაროში მუშაობის გამოცდილება. ეს ორგანიზაცია არ წარმოადგენს იმ ერებს რომლებსაც ემსახურება. პრობლემას ხშირად ისიც ქმნის ვინ ლაპარაკობს ამ ქვეყნის სახელით. საერთაშორისო სავალუტო ფონდში ამას ფინანსთა მინისტრები და ცენტრალური ბანკის წარმომადგენლები აკეთებენ, რომლებიც, როგორც წესი, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ფინანსურ წრეებთან, ხშირად ისინი ფინანსური ორგანიზაციებიდან მოდიან და რაღაც პერიოდი მთავრობაში მსახურობის შემდეგ ისევ იქ უკან ბრუნდებიან. [13] მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ თუ საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეროვნული სახელმწიფოების მიერ კონტროლდება, ფინანსური ნაკადები თითქმის მთლიანად აღნიშნული კონტროლის მიღმა დარჩა. ამ პროცესს ხელი შეუწყო სამმა ძირითადმა ფაქტორმა:

[13] ზვიად ჩახნაშვილი, ლაურა გოტიაშვილი, ,, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ვაშინგტონის კონსესუსის როლი განვითარებადი ქვეყნებისათვის) ‘’, 2013 წლის 26 აგვისტო

1. “ევროვალუტებში” განხორციელებული ფინანსური ოპერაციების მოცულობის სწრაფი ზრდა. აღნიშნული ოპერაციები, როგორც წესი არ რეგულირდება ეროვნული სავალუტო ორგანოების მიერ.

2. 1971 წელს ბრეტონ ვუდსის სისტემის მოშლა და მცურავ სავალუტო კურსის სისტემაზე მასობრივი გადასვლა. გაზარდა კონვერტირებადი ვალუტის რიცხვი, რამაც გაამარტივა საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები.

3. ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების სწრაფი განვითარება, საკაბელო კომუნიკაციების სახით, რამაც მსოფლიო საფონდო და სავალუტო ბაზრები ერთიან გლობალურ სივრცედ აქცია.

მსოფლიო ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებამ მასზე დამოკიდებული გახადა სახელმწიფოები. მათ არა მარტო დაკარგეს ყოველგვარი უნარი დამოუკიდებლად დაარეგულირონ გარე ფინანსური სისტემის ცვლილებები, არამედ ძველ დონეზე გააკონტროლონ შიგა ფინანსური სფერო. აღნიშნულთან ერთად სწრაფად იზრდება ფინანსური სფეროს, რეალური სფეროსაგან, ავტონომიურობის ხარისხი.მსოფლიო საქონელბრუნვის ბოლო გაორმაგებაზე 17 წელი დაიხარჯა, მაშინ, როდესაც საერთაშორისო ფინანსური ნაკადების მოცულობა თითქმის ყოველ 4 წელიწადში ორმაგდება. დღესდღეობით მსოფლიოში არსებობს ოთხი ათასზე მეტი სპეკულაციური ფონდი. მათ ხელში თავმოყრილია 400-დან 500 მილიარდ დოლარამდე ღირებულების ლიკვიდური აქტივები. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით 5-6 უმსხვილეს სპეკულაციურ ფონდს შეუძლია 900 მილიარდი დოლარის მობილიზება, რათა თავს დაესხას ამა თუ იმ ეროვნულ ვალუტას, ან საფონდო ბაზარს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური რესურსების ზრდა მისასალმებელია, თუმცა შეუძლებელია მისი ფინანსური ძალის იმ დონემდე გადიდება, რომ მან არსებული სტრუქტურით და ფუნქციებით შეძლოს სპეკულაციური ფონდების საქმიანობით გამოწვეული მწვავე შედეგების ნეიტრალიზება. მაშინ, როცა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსები მოკლევადიანი პრობლემების მოგვარებასაც არ ყოფნის, არასწორია ღარიბი ქვეყნებისათვის, სტრუქტურული გარდაქმნების განსახორციელებლად და სიღარიბის შესამცირებლად ფართომასშტაბიანი შეღავათიანი კრედიტების გამოყოფა. სსფ-ის

მთავარ ამოცანას ფინანსური კრიზისების წარმოშობის თავიდან აცილება და მათი აღმოფხვრა უნდა წარმოადგენდეს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის და ევროკავშირის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზესახელმწიფოებრივი კოორდინაციის მექანიზმის გარეშე საერთაშორისო შეთანხმებების არანაირ სისტემას არ შეუძლია ეფექტიანი ფუნქციონირება. ასეთი მექანიზმის ზედამხედველობის ფუნქცია რეგულირებამ უნდა შეცვალოს, ამასთან საერთაშორისო ორგანიზაციასა და სახელმწიფოს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა უნდა ემყარებოდეს სუბსოლიდარობის პრინციპს, რაც გულისხმობს რომ, ზესახელმწიფოებრივ სტრუქტურას უნდა გადაეცეს მხოლოდ ის მარეგულირებელი ფუნქციები, რომლის შესრულება მას სახელმწიფოზე ეფექტურად შეუძლია. კრიზისის გამომწვევი მიზეზების ძიებისას გამოიკვეთა, რომ გადამწყვეტია რეგულირების მიღმა დარჩენილი გიგანტური სპეკულაციური ნაკადები, რომელთა ბაზას, დონორი ქვეყნები წარმოადგენენ თავისი ფინანსური ინსტიტუტებით. ამიტომ, რეციპიენტი ქვეყნების მაკროეკონომიკური პოლიტიკის, სტრუქტურული გარდაქმნების გამყარებასთან, ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალობის ხარისხის ზრდასთან ერთად, აუცილებელია დონორი ქვეყნების ფინანსური სისტემის რეგულირების გაძლიერება, როგორც ეროვნულ, ისე ზეეროვნულ დონეზე; რათა გამყარდეს საკრედიტო დისციპლინა და კრედიტორები უფრო ღრმად შეაფასონ მათ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები. გაფართოებული ფუნქციები სსფ-მ უნდა გამოიყენოს წევრ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით კი განვითარებულ ქვეყნებში სავალდებულო სარეზევო მოთხოვნების უნიფიკაციისათვის, რაც როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში არსებულ დეპოზიტებზე ერთნაირი განაკვეთების დაწესებას გულისხმობს. ამით მოისპობა ევროდოლარული ბაზრების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი და მნიშვნელოვნად შემცირდება უკონტროლო სპეკულაციური ნაკადების მოცულობა.

2 საერთაშორისო სავალუტო ფონდი, როგორც საქართველოს პარტნიორი ორგანიზაცია

2.1 საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი საქართველოს ეკონომიკაში

საქართველოსათვის ფინანსური რესურსების საზღვარგარეთიდან მოზიდვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, სახსრების მოზიდვის ერთ-ერთ წყაროს სსფ წარმოადგენდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდს ნაწილობრივ გააჩნდა ზესახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი, ანუ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას შეეძლო მკაცრად დაესაჯა საქართველოს მთავრობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უდავოდ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ხელისუფლების მიერ ეკონომიკური ტრანსფორმაციის და კრიზისის დაძლევის ღონისძიებების განსაზღვრაში და მათ შედეგებზე პასუხისმგებლობის მოზიარედაც მიიჩნევა.

ეკონომიკის პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესი თავიდანვე უდიდეს სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. იგი საზოგადოების ეკონომიკური მოწყობის საფუძვლების ცვლილების აუცილებლობით იყო განპირობებული. სამწუხაროდ, ეკონომისტები ამ ტრანსფორმაციული პროცესის სამეცნიერო უზრუნველყოფისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდნენ. შესაბამისად, შეუძლებელი იყო დასავლეთში მოძებნილიყო თუნდაც ერთი იმ დონის ეკონომისტი, რომელიც, ეკონომიკურ თეორიაზე დაყრდნობით, პოსტკომუნისტური სახელმწიფოს მთავრობისათვის ყოვლისმომცველი და, იმავდროულად, მართებული რეკომენდაციების მიცემას შეძლებდა; მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შეზღუდულობის გამო, ხსენებული ტიპის ეკონომისტი, მით უფრო, ვერც კომუნისტურ სივრცეში მოიძებნებოდა.

იმ დროისათვის, როცა საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა, ლეგალური გზით საერთაშორისო საფინანსო მხარდაჭერის მიღების ინსტიტუტები (მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) და მექანიზმები მსოფლიოში უკვე კარგა ხნის ჩამოყალიბებული იყო.

საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში გაწევრიანდა, მაშინ, როცა მათი წევრ-სახელმწიფოთა რიცხვი 170 იყო. საქართველოს წილი, კვოტა (ანუ გადაწყვეტილების მისაღები ხმა) ამ ორგანიზაციებში 0.08 პროცენტია.

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო დადგა ისეთი რთული სიძნელეების წინაშე, როგორიცაა გაზრდილი ფასები ენერგო რესურსებზე, საერთაშორისო ვაჭრობაში წარუმატებლობა, მაღალი გადასახადები და სხვ. ამის საფუძველზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსათვის გამოეყო შეღავათიანი კრედიტი; საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოს ხელისუფლებას ყოველ ჩამოსვლაზე მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის მიზნით, თავის რეკომენდაციებს უტოვებდა. საქართველოს იმ დროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლების უმეტესობა, ამ რეკომენდაციებს და მათ ავტორებს სერიოზულად არ ეკიდებოდა. რის შედეგადაც ქვეყანაში საერთოდ მოიშალა საფინანსო სისტემა: 1993-1994 წლებში საქართველოს არ ჰქონია პარლამენტის მიერ წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი, კონსტიტუციური და საერთოდ საკანონმდებლო ვაკუუმის, უკვე მიღებული კანონების არასრულყოფილების და სხვადასხვა ორგანიზაციისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათების გამო, შეუძლებელი იყო საგადასახადო შემოსავლების თუნდაც მინიმალურ დონეზე მობილიზება. დროებითი ვალუტის _ ქართული კუპონისადმი ჩამოყალიბდა სახელისუფლებო ნიჰილიზმი, ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულის საკრედიტო თუ საბიუჯეტო ემისიამ 1994 წლებში ჰიპერინფლაცია გამოიწვია და ინფლაციამ საშუალოდ თვეში 50-70 პროცენტი შეადგინა.

1994 წლის დეკემბრიდან საქართველოს და სსფ-ს შორის ურთიერთობის სრულიად ახალი ეტაპი იწყება, როდესაც მიღებულ იქნა ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ლიბერალიზაციის კომპლექსური პროგრამა, რომელიც შემუშავებული იყო სსფ-თან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ პროგრამის რეალიზაციის ჩარჩოებში საქართველომ მიიღო პირველი ტრანშიც, რომლის მუცულობამ 40 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ეს თანხა მთლიანად ქვეყნის საერთაშორისო რეზერვებში წარემართა. ამ პერიოდიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობა ეკონომიკურ პოლიტიკას, იშვიათი

გამონაკლისის გარდა, წარმართავდა იმ ყოველწლიური პროგრამების (მიმართულებების) ჩარჩოებში, რომელიც უთანხმდება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რაც ფონდის მხრიდან ფინანსური დახმარების გაგრძელებით და შემდგომი გაზრდით დასტურდება.

1995 წლიდან საქართველოში გამოიკვეთა ეკონომიკური სტაბილიზაციის ისეთი მნიშვნელოვანი ტენდენციები, როგორიც არის: ჰიპერინფლაციის დაძლევა, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, წარმატებით განხორციელდა ფულის რეფორმა და შემოღებულ იქნა სტაბილური კურსის მქონე ვალუტა, ეკონომიკური დინამიკის უარყოფითი მაჩვენებლები დადებითით შეიცვალა.

სამწუხაროდ, საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში 1998 წლიდან კვლავ გამოვლინდა უარყოფითი ტენდენციები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული ცენტრის მთავარი ეკონომიკური კონსულტანტი დანიელ ლინოტი აღნიშნავს, რომ საქართველოში 1996-1997 წლებში მიღწეული განსაკუთრებით მაღალი შედეგების შემდეგ , როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა დაახლოებით 10%-ს მიაღწია, ადგილი ჰქონდა დროის ხანმოკლე მონაკვეთში მიღწეული ზრდის (ეკონომიკის აღდგენის) და ხანგლძლივი პერიოდის განმავლობაში დაფიქსირებული ეკონომიკური ზრდის ტენდენციის ერთმანეთში არევას. რის საფუძველზეც სულ უფრო გახშირდა სსფ-ის რეკომენდაციები.

1994 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული ე. წ. "ანტიკრიზისული პროგრამა" საფუძვლად დაედო საქართველოს და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის ურთიერთობის პრინციპულად ახალ დონეზე წარმართვა, რაც გულისხმობდა რეკომენდაციების აუცილებლად განსახორციელებელ ღონისძიებათა რანგში გადასვლას. რამაც დადებითი ეკონომიკური შედეგებიც მოიტანა. თავის მემორანდუმებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდი მწვავედ, შეულამაზებლად, რეალისტურად აფასებდა საქართველოში არსებულ ვითარებას და მისი გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს ასახავდა. პირველივე მისიის მემორანდუმი მოიცავდა კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალს, ჰიპერინფლაციის დაძლევის მიზნით, ხაზს უსვამდა რეფორმების სისტემურად განხორციელების აუცილებლობას, იძლეოდა

ეკონომიკური და საფინანსო-საკრედიტო რეფორმების კომპლექსურ პაკეტს, რომელიც ითვალისწინებდა 1994 წლის დასასრულისათვის ინფლაციის შემცირებას ერთნიშნა რიცხვამდე, სარეზერვო ფულის მოცულობის ზრდის მინიმიზაციას, ეროვნულ ბანკში ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშებზე ავტონომიური ოვერდრაფტების პრაქტიკის დაუყონებლივ შეწყვეტას და ა.შ.

1991-1994 წლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაციებს აძლევდა, თუმცა ეს უკანასკნელი მათ არ ითვალისწინებდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამთავრობო გუნდს, რომელსაც საწყის ეტაპზე უხდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებების წარმართვა, პრაქტიკულად ამის არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა, სიღრმისეულად ვერც ფონდის პროცედურებში ერკვეოდა, რითაც საკმაოდ ოსტატურად სარგებლობდნენ ფონდიდან გამოგზავნილი მისიის წევრები. სამთავრობო მხარე ყოველი მორიგი საფინანსო ტრანშის მიღების პირობად ცალკეულ შემთხვევაში თავის თავზე ისეთ ვალდებულებებს იღებდა, რომელთა შესრულება დადგენილ ვადაში ძალზე რთული იყო; ამგვარ ვალდებულებათა აღების დროს ყოველთვის როდი იყო ბოლომდე გაცნობიერებული, თუ რა სირთულის ამოცანის წინაშე აღმოჩნდებოდა მთავრობა მათი შესრულებისას. რეფორმატორები ამა თუ იმ რთულად გადასაწყვეტ ამოცანებთან მიმართებაში არაპოპულარული მეთოდების გამოყენებისას, როგორც წესი, მითითებას საერთაშორისო სავალუტო ფონდსა თუ სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე აკეთებდნენ, რითაც ამ ორგანიზაციების მიმართ საზოგადოებისა და მეწარმეების უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უწყობდნენ ხელს.

შემდეგი მისიის ანგარიშებში კიდევ უფრო დეტალურად გაანალიზდა საქართველოში მიმდინარე პროცესები, განისაზღვრა რეფორმის ღონისძიებები, დასაბუთდა მრავალი ვალუტის გამოყენების პრაქტიკის შეწყვეტისა და ლარის შემოღების დაგეგმვის აუცილებლობა. შეთანხმდა სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების კონკრეტული პარამეტრები, რომელიც ფონდის რესურსების გამოყენებით განხორციელდებოდა სისტემური გარდაქმნების დაფინანსების (STF) ჩარჩოებში.

მიუხედავად აღნიშნულისა, საქართველოს სსფ-თან ურთიერთობა ბოლო პერიოდის ყველაზე მწვავე დებატების საგნად გადაიქცა. ქართველი მეწარმეების, პოლიტიკოსების და ეკონომისტების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ფონდთან ურთიერთობამ ქვეყანას ეკონომიკური წინსვლის ნაცვლად, ეკონომიკური ბერკეტების სრული მოშლა, მოსახლეობის გაღატაკება, უზარმაზარი საგარეო ვალები, დანგრეული და გაპარტახებული მრეწველობა მოუტანა.[14]

სსფ-ის კრიტიკა ასახულია ეკონომიკური განვითარების ზოგიერთ თანამედროვე სახელმძღვანელოში. [15] როგორც ი. შიშკოვი აღნიშნავს, დღეს მხოლოდ

ზარმაცი არ ლანძღავს სსფ-ს ეროვნულ მთავრობათათვის მცდარი რეკომენდაციების მიცემის და მათთვის საფინანსო დახმარებისთვისაც კი.[16]

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სსფ-ის პოლიტიკის კრიტიკის კონცენტრირება, როგორც წესი შემდეგი ძირითადი საკითხების ირგვლივ ხდება:

·იყო თუ არა მეცნიერულად ბოლომდე გააზრებული და რამდენად ითვალისწინებდა პოსტსოციალისტური ქვეყნების სპეციფიკას ეკონომიკის სისტემური ტრანსფორმაციის ის მოდელი, რომელიც განახორციელა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა?

·აფერხებს თუ არა გარდამავალი ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მხრიდან მკაცრი საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მუდმივი გატარებისა და ინფლაციის ნებისმიერ ფასად შეზღუდვის მოთხოვნა?

·როგორ აისახება გარდამავალი ეკონომიკის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე სსფ-დან მიღებული ფინანსური რესურსებით ეროვნული ვალუტის სტაბილური კურსის შენარჩუნება?

---

[14] იხ.საერთაშორისო სავალუტო ფონდი: _ სიკეთე თუ ბოროტება? საქართველოს ეკონომიკური კოლონიალიზმის საფრთხე ემუქრება, ხარჩილავა ვ. (რედ.), თბ., `ყაზბეგი'', 1998; თოფაძე გ., საქართველო ნეოკოლონიალიზმის ყულფში, თბ., 2003.

[15] Шишков Ю., Мировая финансовая система: необходимост реформ, ж., «МЭ и МО», 1999, №11, с. 3-8.

[16] იხ.. პაპავა ვლ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართვალოში: მიღწევები და შეცდომები, თბ., 2000; მესხია ი., საქართველოს საფინანსო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები; კრებულში - გარდამავალი პერიოდის საფინანსო ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, ტომი III, თბ., 1999, გვ. 12_21.

ეს კითხვები ბევრ ეკონომისტს თუ პოლიტიკოსს ებადება, თუმცა მათზე კონკრეტული პასუხის გაცემა რთულია.

2.2 საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამები საქართველოში

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელდა არა ერთი პროგრამა საქართველოში. ახლა მიმდინარე პროცესშია ერთი და იგეგმება კიდევ სხვების განხორციელებაც.

1996 წელს საქართველს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოუყო სარეზერვო შეთანხმების საფუძველზე 72.15 მილიონი SDR, რაც ექვივალენტური იყო 133 მილიონი დოლარისა. სესხი მიმართული იყო ეკონომიკური სტაბილურობისა და რეფორმების განსახორციელებლად.

მანამდე საქართველო დიდი ეკონომიკური კოლაფსის წინაშე იდგა. ქვეყანაში იყო ჰიპერინფლაცია და ეკონომიკური არასტაბილურობა. აღნიშნული პროგრამის შედეგად ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი ყოველთვიურად 1%-მდე მცირდებოდა, ყოველწლიური შემცირების დონემ 12-15%-ს მიაღწია. ამასთან აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდა - დაახლოებით 6%-ით;

1996 წელს საქართველომ მიიღო 3 წლიანი შეღავათიანი სესხი სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოვებული საშუალების ფარგლებში (ESAF). სესხის ოდენობა შეადგენდა 166,5 მილიონ SDR-ს რაც 246 მილიონ დოლარის ექვივალენტურია (იხ. ცხრილი 1)

ცხრილი 1[17]
3 წლიანი შეღავათიანი სესხი(ESAF) 1996 წ

	1994	1995	1996
რეალური ეკონომიკური ზრდა	-35.0 %	- 5 %	10.0 %
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	38.0 %	22.0	12.10
ბიუჯეტის დეფიციტი	- 16.5	- 6.0	- 5.6
	0.8	1.5	2.0

2004 წლის ივნისში სსფ-ის დირექტორთა საბჭომ საქართველოსათვის დაამტკიცა სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკური ზრდის პროგრამა 98 მლნ. SDR-ის (144 მილიონი აშშ დოლარი) ოდენობით, რომლის პირველი ტრანში 21 მლნ. დოლარს შეადგენდა.

პროგრამა 2004 წლისათვის ეკონომიკური ზრდის 6%-იან და ინფლაციის 5%-იან მაჩვენებლებს ითვალიწინებდა. ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე დადებითად შეფასდა საქართველოში სიღარიბის დაძლევის სამ წლიანი პროგრამის მიმდინარეობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ქვეყანაში სიღარიბის შემცირების, ეკონომიკური ზრდის და სტრუქტურული რეფორმების გატარებისკენ.

[17] https://www.imf.org/external/research/index.aspx

თუ სსფ-სა და საქართველოს მრავალწიან ურთიერთობას გადავხედავთ 2004 წლამდე, ვნახავთ, რომ იმ ხნის განმავლობაში, რაც საერთაშორისო დონორი საქართველოში მუშაობდა, ჯერ არ ყოფილა წელიწადი, ფონდისაგან მიტოვების საფრთხე არ დამუქრებოდა საქართველოს ან პროგრამების განხორციელება არ შეწყვეტილიყო. მისი რეკომენდაციები ჩვეულებრივ არასოდეს სრულდებოდა. მთელი ამ წლების განმავლობაში ფონდის მისიას სერიოზული ჩავარდნები და არანაკლებ სერიოზული წარმატებები ჰქონდა. 1994-1996 წლებში მისი ფინანსური და ინტელექტუალური დახმარების შედეგად საქართველომ ძალიან მოკლე დროში დაამარცხა ჰიპერინფლაცია და მიაღწია ფინანსურ სტაბილურობას, რასაც მოჰყვა ფულის შედეგიანი რეფორმა. იგივე პერიოდში სსფ-ის დახმარებით შეიქმნა ცენტრალური ბანკი, ბიუჯეტი, საგადასახადო სისტემა. მას შემდეგ, ექსპერტთა განცხადებით ფონდის პრინციპულობამ საგრძნობლად იკლო და ეს მაშინვე დაეტყო ქვეყნის მდგომარეობას. მისიის ხელმძღვანელობამ ხშირად დახუჭა თვალი საქართველოს ხელისუფლების წარუმატებლობაზე.

2004 წლის 21 იანვარს სსფ-ის დირექტორთა საბჭომ იმსჯელა საქართველოში მათი პროგრამის პერსპექტივებზე. სსფ-ის შეფასებით რეჟიმის ცვლილებამ საქართველოში ახალი პერსპექტივები გააჩინა. სსფ-სგან საქართველომ მიიღო შემდეგი რეკომენდაციები: ბრძოლა კორუფციის, კონტრაბანდის, გადასახადების დამალვის, ფულის გათეთრების წინააღმდეგ.

2007 წლის 30 სექტემბერს დასრულდა "სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის" პროგრამა. გამოიყო ამ პროგრამით გათვალისწინებული ბოლო ტრანში 21.3 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. თუმცა, პროგრამის დამთავრებამდე რამდენიმე თვით ადრე, მიმდინარე წლის ივნისში თბილისში ვიზიტად მყოფი სსფ-ის ახლო აღმოსავლეთის და შუა აზიის დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი ჯონვეიკმან-ლინი აღნიშნავდა, რომ ფონდმა საქართველოს მთავრობას ურთიერთთანამშრომლობის ალტერნატიული პროგრამები შესთავაზა. ეს იყო სიღარიბის დაძლევის და ზრდის, ერთწლიანი, შედარებით მაღალპროცენტიანი დახმარების პროგრამა და პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც სსფ-ის მხრიდან პოლიტიკური რეკომენდაციების გაცემას მოითხოვდა და არა ფულად დახმარებას.

2008 წლის 9 სექტემბერს საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად, თხოვნით მიმართა სსფ-ის დირექტორ-განმკარგულებელს, 18-თვიანი ეკონომიკური პროგრამის საფუძველზე Stand-by-ის მექანიზმის ფარგლებში, კრედიტის გამოყოფის შესახებ. თხოვნის უშუალო მიზეზი 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებები გახდა.

აგვისტოს ომის უშუალო ეკონომიკური შედეგებიდან სსფ-მ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა "ნდობის დეფიციტის" წარმოქმნას, რაც შემდეგ მოვლენებში აისახა:

▪ერთბაშად დამუხრუჭდა კერძო სექტორში უცხოეთიდან კაპიტალის ნაკადების შემოდინება, ბაზარზე მკვეთრად იკლო უცხოური ვალუტის მიწოდებამ - მხოლოდ აგვისტოში ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები 330 მლნ აშშ დოლარით ანუ 23 პროცენტით შემცირდა;

▪დაიწყო ბანკებიდან დეპოზიტების გაზიდვა. მათი მოცულობა აგვისტოში 400 მლნ ლარით ანუ 14 პროცენტით შემცირდა;

▪პიკს მიაღწია ქვეყნის რისკის მაჩვენებლებმა.

▪ლიკვიდობის პრობლემის გამწვავებას ბანკებმა დაკრედიტების მკვეთრი შეზღუდვით უპასუხეს;

Stand-by - ის საკრედიტო მექანიზმით სარგებლობის 18 თვის მანძილზე, საქართველომ აიღო გარკვეული ვალდებულებები, რომელთა შესრულება აუცილებელი იყო, იმისდა მიუხედავად, ისარგებლებდა თუ არა ქვეყანა კრედიტის სრული მოცულობით.

2011 წლის ოქტომბერში საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტანდარტების და ნორმების შესაბამისობის შეფასების მისია იმყოფებოდა. მისიის მიზანი ქვეყანაში ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის სისტემის შეფასება იყო. სავალუტო ფონდის სტატისტიკის დეპარტამენტის შემაჯამებელ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ წინა მსგავსი მისიის შემდეგ საქართველოს შთამბეჭდავი მიღწევები აქვს სტატისტიკის იმ სფეროებში, რომლებსაც შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები მოიცავს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეიმუშავა ინდიკატორების ჯგუფი, რომლებიც ქვეყნის ფინანსური ინსტიტუტებისა და მათი კლიენტი შინამეურნეობების, ასევე კორპორატიული სექტორის ფინანსურ სიჯანსაღეს აღწერენ. ინდიკატორები მოიცავს როგორც ცალკეული ინსტიტუტების კონსოლიდირებულ მონაცემებს, ასევე ინფორმაციას იმ ბაზრების შესახებ, სადაც ეს ინსტიტუტები ოპერირებენ. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა შეიმუშავა ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების გამოთვლის მკაცრი მეთოდოლოგია, რაც ქვეყნების ფინანსური სისტემების ამსახველი მონაცემების ერთმანეთთან შედარების საშუალებას უზრუნველყოფს. ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორები იყოფა ძირითად (12) და სასურველ (28) ინდიკატორებად. პროექტში გაწევრიანებული ყოველი ქვეყანა გარკვეული პერიოდულობით ახდენს ამ ინდიკატორების გამოქვეყნებას.

დღეისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მონაცემებს 70-მდე წევრი ქვეყანა აწვდის. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ამ ინფორმაციას ფონდის ვებ-გვერდზე განათავსებს. აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშება ხდება მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზისა და ფინანსური კრახის ალბათობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.

2012 წლის აპრილიდან დაიწყო საქართველოს ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორების ყოველკვარტალური გამოქვეყნება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ვებ-გვერდზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი უკვე არის ისეთი საერთაშორისო სტატისტიკური ინიციატივების სრულუფლებიანი წევრი, როგორიცაა სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების ზოგად სისტემა (2006 წ) და მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტი (2010 წ), რომელშიც სავალუტო ფონდის 188 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ 68 მონაწილეობს.

მისიის დასკვნით, მთლიანობაში საქართველოს მაკროეკონომიკური სტატისტიკა მაღალი ხარისხისაა და ადეკვატურად აკმაყოფილებს ინფორმაციის მომხმარებელთა მოთხოვნებს. საქართველომ არსებით გაუმჯობესებას მიაღწია მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფის სამართლებრივ, ინსტიტუციურ და მეთოდოლოგიურ ასპექტებში.

2012 წლის 11 აპრილს სსფ-ს საქართველოს დაუმტკიცა 24 თვიანი 250 მილიონიანი SDR სესხი, რომელიც დააახლოებით 390 მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტია. თანხა პროპორციულად უნდა განაწილებულიყო დაფინანსების ორ მექანიზმს შორის : სარეზერვო დაფინანსება და სარეზერვო დაკრედიტების მექანიზმებს შორის და დააფინანსება 2012-2013 წლებში საქართველოს საფინანსო საქმიანობას. ეს პროგრამა ლოგიკურად ებმის 33-თვიან ეკონომიკის მხარდამჭერ პროგრამას, რომელიც 2011 წლის 14 ივნისს დასრულდა. წინა პროგრამის ფარგლებში საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან 893 მილიონი დოლარი აითვისა. პროგრამის მიზნები, რომელიც 2011 წლის ივნისში დასრულდა, ძირითადად მიღწეულია. კერძოდ, მოხდა ეკონომიკის სტაბილიზაცია და განახლდა ეკონომიკური აღმასვლა, ასევე მოხდა ფისკალური კორექტირება და მოხერხდა კერძო კაპიტალის მოზიდვა. 2011 წლის შედეგები იმაზე უკეთესია, ვიდრე საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოელოდა. ეკონომიკურმა ზრდამ 7% შეადგინა, ინფლაცია დაბალი და ერთნიშნა იყო, მთავრობის ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში კი 34%-ს არ აჭარბებდა და ქვეყნის საერთაშორისო რეზერვები 2,8 მილიარდ დოლარს აღემატებოდა.

2014 საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პროგრამის მხარდასაჭერად 100 მილიონი SDR-ის ოდენობით, 36-თვიანი „სარეზერვო დაფინანსება“ დაამტკიცა. (დაახლოებით 154 მილიონი აშშ დოლარი, ანუ საქართველოს ქვოტის 67%). საბჭოს გადაწყვეტილება 40 მლნ SDR–ის დაუყოვნებლივ გამოყოფას ითვალისწინებს. ხოლო დარჩენილი თანხა გადანაწილდება პროგრამის მსვლელობისას. აღნიშნული თანხებით დაფინანსდა ხელისუფლების ეკონომიკური რეფორმის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობას და ეკონომიკის საგარეო შოკებისადმი მდგრადობის გაძლიერებას. "იმისათვის, რომ მოხდეს ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მშპ-ს 3%– მდე 2015 წლისათვის, ხელისუფლება მიმართავს ისეთ ზომებს, როგორებიცაა აქციზის გაზრდა თამბაქოზე და ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ჯამური მოცულობის ზომიერი ზრდა. ამავდროულად, მიმდინარე ხარჯების სხვა კატეგორიები შენარჩუნდება უცვლელ დონეზე რეალურ გამოხატულებაში. დეფიციტის

შემცირების მთავარ პრინციპია არ მოხდეს ისეთი ზომების გატარება, რომლებიც არაპროპორციულ გავლენას იქონიებს ღარიბ და სოციალურად დაუცველ ფენებზე", აცხადებს ფონდი.

ყველაზე მთავარი დადებითი შედეგი, რაც საქართველოსთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლობას აქვს, ეკონომიკის ექსპერტების აზრით არის ის, რომ ხელისუფლების მხრიდან ,,ხალხური თვითშემოქმედების" ელემენტების გამოყენების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი, როგორიცაა მაგალითად, ,,გაბერილი" საგარეო ვალების წარმოქმნა ხელოვნურად გაზრდილი ე.წ. საკლირინგო ფასების გამოყენებით, ან ხორბალზე და ფქვილზე ადგილობრივი და იმპორტიორი მეწარმეების განსხვავებული რეჟიმით დაბეგვრა და ამ საკითხის ფონდთან შეთანხმების მცდელობა, ან საგადასახადო ამინისტიის ნების გამოცხადება და შესაბამისი პროგრამის შეთანხმების მიზნით საერთაშორისო სავალუტო ფონდში წარდგენა, ან ცალკეულ პიროვნებებზე "მოსარგებად" ქვეყნის საფინანსო სისტემის ინსტიტუციური მოწყობის "დამახინჯება", ან სახელმწიფო ბიუჯეტის შესასრულებლად კომერციული ბანკების უშუალო სესხების გამოყენება, რაც სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესს აფერხებს, ან გაუცემელი პენსიების ნაცვლად სხვადასხვა სახეობის პროდუქტების დარიგება და მომსახურების გაწევა და ა.შ; რომ არა სსფ-ის აქტიური ზეწოლა, მაშინ მაგალითად, პენსიების ნაცვლად ფქვილის დარიგება იქნებოდა და საერთო, ყოვლისმომცველ კანონზომიერებად იქცეოდა, რაც, საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ეკონომიკას და ფინანსებს სრულად დაანგრევდა.

2017 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრესრელისში აქვეყნებს ინფორმაციას, რომ აღმასრულებელმა დირექტორთა საბჭომ საქართველოს $285.3 მილიონი აშშ დოლარის პროგრამა დაუმტკიცა „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის" ფარგლებში (Extended Fund Facility, EFF)

- პროგრამის დამტკიცებისთანავე საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება 30 მილიონი ესდეერი (დაახლოებით $40.7 მილიონი აშშ დოლარი).

- პროგრამა ხელს შეუწყობს ქვეყნის ამბიციურ სტრუქტურულ რეფორმებს სწრაფი და მეტად ინკლუზიური ზრდის მიღწევაში: განათლების, საგზაო ინფრასტრუქტურის, საჯარო მმართველობის გაუმჯობესებით.
- ფისკალური კონსოლიდაცია საშუალოვადიან პერიოდში ემსახურება სახელმწიფო ვალის შენარჩუნებას არსებულ დონეზე და ხარჯების მიმართვას ინფრასტრუქტურულ გამოწვევებზე.

ამა წლის 12 აპრილს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ ქვეყნის ხელისუფლების ეკონომიკური რეფორმის მხარდასაჭერად საქართველოს 210.4 მილიონი ეს.დე.ერ-ი (SDR) (დაახლოებით 285.3 მილიონი აშშ დოლარი; ქვეყნის ქვოტის 100 პროცენტი) დაუმტკიცა ,,გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით" მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში.

აღნიშნული პროგრამა საქართველოს ხელს შეუწყობს შეამციროს ეკონომიკური გამოწვევები და განახორციელოს კოორდინირებული პოლიტიკა ეკონომიკის ზრდის მიზნით. ეკონომიკის სწრაფი და უფრო ინკლუზიური ზრდისთვის პროგრამა ითვალისწინებს ამბიციურ სტრუქტურულ რეფორმებს განათლების, ინფრასტრუქტურული ინვესტიციების, საჯარო მმართველობის ეფექტურობის ამაღლების და ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით, რათა კერძო სექტორი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი გახდეს.

სსფ-ს დირექტორთა საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცებისთანავე საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება პროგრამის პირველი ტრანში 30 მილიონი SDR-ის (დაახლოებით 40.7 მილიონი აშშ დოლარის) ოდენობით. პროგრამა ითვალისწინებს კიდევ ექვს ტრანშს. თითოეული მათგანი ხელმისაწვდომი გახდება ქვეყნისთვის პროგრამის მსვლელობის განმავლობაში, წელიწადში ორჯერ ჩატარებული მიმოხილვის დასკვნის საფუძველზე.

სსფ-ს დირექტორთა საბჭოს მიერ საქართველოს პროგრამის განხილვის დასრულებისთანავე, ბატონმა ტაო ჟანგმა (Mr. Tao Zhang), სსფ-ს მმართველი დირექტორის მოადგილემ და საბჭოს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, განაცხადა შემდეგი:

“საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა ეკონომიკური პროგრამა, რომელსაც სსფ მხარს უჭერს „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“.[18] საქართველოს გამოწვევები შემდეგია: წარმოების სიმცირე, დეფიციტური საგარეო და ფისკალური პოზიცია, ეკონომიკის ზრდის დაბალი ტემპი და მაღალი უმუშევრობა. ეს გამოწვევები განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 2014 წლის საგარეო შოკის ფონზე, როდესაც სავაჭრო პარტნიორების ზრდა შემცირდა ნავთობის დაბალი ფასის გამო. პროგრამა პასუხობს ზემოაღნიშნულ გამოწვევებს ფისკალური დეფიციტის შემცირებით, ხარჯების ინვესტიციებზე მიმართვით, სტრუქტურული რეფორმების დაჩქარებით, მონეტარული პოლიტიკის და ფინანსური სექტორის ზედამხედველობის გაძლიერებით, უსაფრთხოების სისტემების და ბანკების საკითხთა განხილვის (banking resolution) ჩარჩოს დახვეწით.

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ინფლაციის ტარგეტირების მექანიზმის გაძლიერებას. მაშინ, როცა ფინანსური სექტორი მდგრადი აღმოჩნდა ვალუტის გაუფასურების მიმართ, ცენტრალური ბანკი ქმნის მაკროპრუდენციულ ინსტრუმენტებს ვალუტის შეუსაბამობის, კონცენტრაციის რისკის და სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკების საკითხებზე რეაგირებისთვის. ხელისუფლებამ გამოაცხადა დედოლარიზაციის ღონისძიებები. დეპოზიტების დაზღვევა გააძლიერებს ფინანსური უსაფრთხოების სისტემას.

ფისკალური პოლიტიკა მიმართული იქნება დეფიციტის ეტაპობრივ შემცირებაზე შემოსავლების ზრდისა და ხარჯების დაზოგვის გზით. თუმცა, საინვესტიციო ხარჯები გაიზრდება, რაც, თავისმხრივ, ხელს შეუწყობს ეკონომიკის ზრდას. გადაიდგმება ნაბიჯები ჯანდაცვის ხარჯების ეფექტურობის ასამაღლებლად, ისე, რომ არ შემცირდეს ჯანდაცვის სისტემის მოცვა, განსაკუთრებით ყველაზე მოწყვლადი ფენის მიმართ. გაძიერდება ფისკალური რისკების აღიარება და კონტროლი.

ეკონომიკური პროგრამის წარმატებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სტრუქტურული რეფორმების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს მაღალ ინკლუზიურ ზრდას და ეკონომიკის დივერსიფიცირებას. ყურადღება მიმართულია კაპიტალის

[18] საერთაშორისო სავალუტო ფონდი პრესრელიზი #17/130, 12 აპრილი 2017

ბაზრის რეფორმაზე, კერძო და საჯარო პარტნიორობის რეფორმაზე, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმაზე, კერძო სექტორში აღრიცხვისა და კონკურენციის საკითხებზე და განათლების რეფორმაზე.

პროგრამის განხორციელების თანმხლებ მაღალ რისკს ანელებს ხელისუფლების გადაწყვეტილების სიმტკიცე და პროგრამის მიმართ არსებული პოლიტიკური მხარდაჭერა.“ -აღნიშნა ბატონმა ჟანგმა. ეკონომიკის ბოლოდროინდელი ვითარება და პერსპექტივა რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსად, 2016 წელს საქართველოს ეკონომიკა მოკრძალებული ტემპით, 2.7 პროცენტით გაიზარდა. ეს განაპირობა სავაჭრო პარტნიორთა ზრდის შენელებამ 2014 წლიდან დაწყებული. ინფლაციაც დაბალი იყო. ეროვნული ბანკის პოლიტიკის განაკვეთის კლების მიუხედავად, ინფლაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სამიზნე მაჩვენებელს: 5 პროცენტს. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ოდნავ გაიზარდა მშპ-ს 12.4 პროცენტამდე, გაუარესებული სავაჭრო სალდოს გამო, თუმცა კვლავაც მეტწილად ფინანსდებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. საგარეო ვალმა, რომელიც ძირითადად შეღავათიანი პირობებითაანასესხები, თითქმის მშპ-ს 110 პროცენტს მიაღწია,[19] ნაწილობრივ, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო.

2016 წლის ფისკალური დეფიციტი მშპ-ს 4.1 პროცენტს გაუთანაბრდა და აღემატა პროგნოზირებულ 3.0 პროცენტს. მიმდინარე ხარჯებსა და ბიუჯეტის მიერ გაცემული სესხების გადაჭარბება, მხოლოდ ნაწილობრივ დაბალანსდა აქციზიდან და მოგების გადასახადიდან მიღებული, მოსალოდნელზე მეტი, შემოსავლით. 2016 წლის განმავლობაში გაცვლითი კურსი მერყეობით ხასიათდებოდა, რაც საქართველოს ეროვნულ ბანკს უბიძგებდა ჩარეულიყო სავალუტო ბაზარზე ვალუტის როგორც ყიდვის, ისე გაყიდვის მიმართულებით, ზედმეტი რყევების თავიდან ასაცილებლად. საქართველოს საბანკო სექტორი, მიუხედავად დოლარიზაციის მაღალი მაჩვენებლისა, მდგრადია. ხოლო, ვადაგადაცილებული ვალების მაჩვენებელი მხოლოდ მცირედით გაიზარდა. საბანკო სექტორის ანგარიშის მიხედვით 2016 წელს ბანკების კაპიტალი, ლიკვიდურობა და მომგებიანობა ადეკვატური იყო. ბანკების საკრედიტო პორტფელი 12

[19] საერთაშორისო სავალუტო ფონდი პრესრელიზი #17/130, 12 აპრილი 2017

პროცენტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე). 2017 წელს მოსალოდნელია მშპ-ს 3.5 პროცენტით ზრდა.[20] ინფლაცია ეროვნული ბანკის 4 პროცენტიან სამიზნე მაჩვენებელს გადააჭარბებს: წინა პერიოდში ვალუტის გაუფასურების, მაღალი სასაქონლო ფასების და აქციზის ზრდის გამო. ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელს 2018 წელს გაუტოლდება. საქართველოს ეკონომიკაზე გავლენა ექნება რეგიონსა და მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე, რთულად პროგნოზირებად, მოვლენებს.

პროგრამის არსი მდგომარეობდა შემდეგში: 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ საქართველოს მთავრობა შეჯერდა პროგრამაზე, რომელიც მიზნად ისახავს სწრაფ და მეტად ინკლუზიურ ზრდას მაკროეკონომიკური სტაბილურობის დაცვით. მთავრობის რეფორმის პროგრამა, რომელსაც სსფ მხარს უჭერს გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით, მიზნად ისახავს ფინანსური სტაბილურობის განმტკიცებას, საგარეო რისკების მიმართ ქვეყნის მოწყვლადობის შემცირებას, ფისკალური საიმედოობის და ინფრასტრუქტურული ინვესტიციების ზრდას, სტრუქტურული რეფორმების გატარებას. კერძოდ:

- ფისკალური კონსოლიდაცია საშუალოვადიან პერიოდში ემსახურება ვალის შენარჩუნებას არსებულ დონეზე. ხარჯები გადანაწილდება მიმდინარედან კაპიტალურზე, ინფრასტრუქტურული საჭიროებების მოსაგვარებლად.
- სტრუქტურული რეფორმები გაზრდის დანაზოგებს, კერძო სექტორის ინვესტიციებს და კონკურენტუნარიანობას.
- ორმხრივ და მრავალმხრივ დონორთა მხარდაჭერა მობილიზდება ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების და ქვეყნის უცხოური ვალუტის რეზერვების შესავსებად, პროგრამის მსვლელობის პერიოდში.

პროგრამით გათვალისიწნებული იყო შემდეგი ღონისძიებები:

ფისკალური კონსოლიდაცია, ინვესტიციების შეუფერხებელი დაფინანსების პირობებში: ხელისუფლების მიზანია მიმდინარე ხარჯების შეზღუდვა და შემოსავლების ზრდა, ინფრასტრუქტურული საჭიროებების დაფინანსების მიზნით.

[20] საერთაშორისო სავალუტო ფონდი პრესრელიზი #17/130, 12 აპრილი 2017

ხარჯების შეზღუდვის ღონისძიებები მოიცავს: სახელფასო ხარჯების მართვის გაუმჯობესებას, მიმდინარე ხარჯვის ეფექტურობის ამაღლებას, ადგილობრივი მთავრობის ხარჯების უკეთეს კონტროლს. საჯარო ჯანდაცვის სისტემაში დაგეგმილი ღონისძიებები ემსახურება ხარჯების ეფექტურობის ამაღლებას, ქვეყანაში ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის კლების გარეშე, განსაკუთრებით მოწყვლადი ფენისთვის. შემოსავლების მხრივ: მთავრობის მიერ გაზრდილმა გადასახადებმა დააკომპენსირა მოგების გადასახადის რეფორმით გამოწვეული შემოსავლების დანაკლისი და დააფინანსა გაზრდილი კაპიტალური ხარჯები. მთავრობამ მზადყოფნა გამოხატა, საჭიროების შემთხვევაში, გაატაროს დამატებითი ღონისძიებები ფისკალური მაჩვენებლების შესრულებლად.

ინფლაციის ტარგეტირება და გაცვლითი კურსის მოქნილობა: საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ფასების სტაბილურობის და გაცვლითი კურსის მოქნილობის უზრუნველყოფას. განუწყვეტლივ მიმდინარეობს ფასების დონეზე დაკვირვება და შედარება ეროვნული ბანკის ინფლაციის ტარგეტთან საშუალოვადიან პერიოდში შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ინფლაციის მონაცემების გასაცნობად იხილეთ დიაგრამა 1. და დიაგრამა 2

საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავაც უზრუნველყოფს, რომ ვალუტის გაცვლითი კურსი მოერგოს საბაზრო პირობებს. სსფ-ს პროგრამის მიზანია საერთაშორისო რეზერვების დაგროვება. ეროვნული ბანკი განაგრძობს ლიკვიდურობის მართვის გაუმჯობესებას და მონეტარული პოლიტიკის გადაცემის გაძლიერებას, მათ შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებით.

დიაგრამა 1[21]

[21] გიორგი კაჭარავა,მარინა მეტრეველი, გია სირაძე, ალექსანდრე შალუტაშვილი, თამარ ჯაფარიძე, ელენე ცხომელიძე, ანა რაზმაძე, ,,ეკონომიკური მიმოხილვა'', 2018 წლის მაისი

დიაგრამა 2[22]



ფინანსური სექტორის გაძლიერება: ქვეყნის ხელისუფლებამ დაადასტურა საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა ფინანსური სტაბილურობის მანდატის შესრულებაში. სსფ-ს ფინანსური სექტორის შეფასების (FSAP) რეკომენდაციით, საქართველოს ეროვნული ბანკი განსაზღვრავს 'სესხის და ღირებულების' და (loan-to-value) და 'გადახდის და შემოსავლის' (payment-toincome) დასაშვებ ნორმებს იპოთეკური სესხებისთვის. უცხოურ ვალუტის სესხებზე განისაზღვრება შედარებით მკაცრი ნორმები. პროგრამა მიზნად ისახავს 'მომხმარებელთა დაცულობის' და 'პრობლემური ბანკების საკითხის განხილვის' ჩარჩო პირობების გაძიერებას ახლო მომავალში. ხოლო საშუალოვადიან პერიოდში დაიხვეწება 'უკანასკნელი ინსტანციის მსესხებლის' მექანიზმიю

სტრუქტურული რეფორმები: ხელს შეუწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, ეკონომიკის დივერსიფიცირებას, და ინკლუზიურ ზრდას. კაპიტალის ბაზრის განვითარება, საპენსიო რეფორმასთან ერთად შეკრებს ადგილოვრივ დანაზოგს და ხელს შეწუყობს კერძო სექტორის მიერ ინვესტირებას. განათლების რეფორმა გაზრდის სამუშაო ძალის პროდუქტიულობას და ხალხის უნარ-ჩვევებს შეუსაბამებს დასაქმების

[22] https://www.mof.ge/4556

ბაზრის მოთხოვნებს. მმართველობის გაუმჯობესება და კონკურენციის ზრდა საქართველოს ეკონომიკას განუმტკიცებს მზარდი ბაზრის სტატუსს.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა სრულად არის დაფუძნებული მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაზე. პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდი იქნება ჩვენი ქვეყნის პარტნიორი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების პროცესში. სავალუტო ფონდი სრულად იზიარებს ეკონომიკურ და სტრუქტურულ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებასა და ეკონომიკურ ზრდის ხელშეწყობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდი მიესალმება საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას. 2018 წლის ივნისში წარმატებით დასრულდა პროგრამის მეორე შეფასება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პროგრამა გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და 2017 წლის მდგომარეობით შესრულებულია პროგრამით განსაზღვრული ყველა კრიტერიუმი (ე.წ. „სტრუქტურული ბენჩმარკი“). კრიტერიუმები, რომლებიც წარმატებით იქნა შესრულებული, მოიცავს:

• ფინანსური სექტორი:

¬ ფინანსური სტაბილურობა.

¬ლარის დეპოზიტებისთვის პრეფერენციული ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის შემოღება.

¬ სისტემური მნიშვნელობის ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის დამატებითი ბუფერების შემოღება.

¬ პარლამენტში კანონმდებლობის წარდგენა ეროვნული ბანკისთვის საკრედიტო ბიუროზე ზედამხედველობის უფლების მინიჭების შესახებ.

¬ მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის გაზრდა 50 მილიონ ლარამდე ეტაპობრივად 2019 წლამდე.

¬ კაპიტალის ბაზრის განვითარება.

¬ სახელმწიფო ბენჩმარკ ბონდების მრავალწლიანი კალენდრის გამოქვეყნება,

¬ მონეტარული პოლიტიკის ოპერაციები და კომუნიკაცია.

¬ მემორანდუმის გაფორმება ეროვნულ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის ინფორმაციის გაზიარების შესახებ ლიკვიდობის პროგნოზირების მიზნებისთვის.

¬ დეპოზიტების დაზღვევა.

¬ პარლამენტისთვის კანონმდებლობის წარდგენა დეპოზიტების დაზღვევის შესახებ.

¬ ბანკების რეზოლუციის ჩარჩო.

¬ ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებების წარდგენა პარლამენტში, რომლის თანახმადაც, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ეროვნულ ბანკს უფლება ექნება ბანკში ფინანსური სირთულეების შემთხვევაში, აამოქმედოს დროებითი ადმინისტრირების რეჟიმი.

• ფისკალური სექტორი :

¬ საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონმდებლობის მიღება,

¬ დაგროვებული დღგ-ს ზედმეტობების ანაზღაურების შესახებ სამოქმედო გეგმის შემუშავება.

• საჯარო და კერძო თანამშრომლობა და ფისკალური რისკები:

¬ საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ კანონპროექტის წარდგენა პარლამენტში, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშგების, მონიტორინგის და სახელმწიფო ვალდებულებების ზედა ზღვარს ის განსაზღვრას.

¬ სახელმწიფო საწარმოებთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებების ანალიზის საჯარო და კერძო თანამშრომლობის და გარანტირებული ელექტრო ენერგიის შესყიდვის შეთანხმებებზე გავრცელება .

• საჯარო ფინანსების მართვა :

¬ გაიდლაინების გამოცემა ბიუჯეტის ახალ სასესხო ოპერაციებზე, კომერციული ამონაგების გონივრული მოლოდინის მოთხოვნით

• საპენსიო რეფორმა:

¬ საპენსიო კანონმდებლობის პროექტის წარდგენა პარლამენტში, რომელითაც იქმნება მე-2 სვეტის სისტემა და საბაზისო პენსიის ინდექსაციის წესის შემოღება.

სავალუტო ფონდის დასკვნები და შეფასებები ნათლად მიანიშნებს სხვადასხვა მიმართულებით ხელისუფლების მიერ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით წარმატებით განხორციელებულ რეფორმებზე, მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯებსა და აღნიშნული რეფორმების პოზიტიურ შედეგებზე. სავალუტო ფონდის შეფასება სტრუქტურული რეფორმების საჭიროების შესახებ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის პოლიტიკასთან, რომელიც მიზნად ისახავს მაღალ და ინკლუზიურ ზრდას. საერთო ჯამში სავალუტო ფონდი პოზიტიურად აფასებს პროგრამის მიმდინარეობას და ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლების მხრიდან პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით ძლიერ პასუხისმგებლობასა და ძალისხმევაზე.[23]

2019 წელს ამ პროგრამის ფარგლებში საქართველომ 40 მლნ აშშ დოლარი მიიღო.

ამა წლის 2-16 აპრილს თბილისს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ს) მისია სტუმრობდა ქალბატონი მერსედეს ვერა-მარტინის ხელმძღვანელობით. მისიის მიზანი იყო 2018 წლის „მეოთხე მუხლის კონსულტაციების“ გამართვა საქართველოს ხელისუფლებასთან და „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი საქართველოს პროგრამის მეორე მიმოხილვის ჩატარება. მისიის დასასრულს ქალბატონმა მერსედეს ვერა-მარტინმა განაცხადა შემდეგი:

“პროდუქტიული განხილვების შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ და სსფ-ს მისიამ მიაღწიეს შეთანხმებას საქართველოს პროგრამის მეორე მიმოხილვის წარმატებით დასრულების შესახებ. ეს წინასწარი შეთანხმება დასამტკიცებლად წარედგინება სსფ-ს აღამასრულებელ დირექტორთა საბჭოს ამა წლის ივნისის თვეში. სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭო 2018 წლის „მეოთხე მუხლის კონსულტაციების“ ანგარიშს და პროგრამის მეორე მიმოხილვის შედეგებს ერთად განიხილავს. მიმოხილვის დასრულებისას საქართველოსთვის ხელმისაწვდომი ხდება 30 მილიონი ეს-დე-ერი (დაახლოებით 43.6 მილიონი აშშ დოლარი). შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში მთლიანი ჩამორიცხვები 90 მილიონ ეს-დეერ-ს (დაახლოებით 130 მილიონ აშშ დოლარს) გაუტოლდება.“

[23] საერთაშორისო სავალუტო ფონდი პრესრელიზი #17/130, 12 აპრილი 2017

პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს. დეკემბრის ბოლოსთვის განსაზღვრული რაოდენობრივი კრიტერიუმები შესრულებულია, ხოლო მიმდინარე ხარჯებთან დაკავშირებული გეგმიური ინდიკატორი მხოლოდ მცირედით გაირღვა. რეფორმების პროგრამა კარგად ხორციელდება. პროგრამით გათვალისიწნებული სტრუქტურული კრიტერიუმების უმეტესობა შესრულებულია.

"2017 წლის ზრდა მოსალოდნელზე მაღალი იყო სავაჭრო პარტნიორების მაღალი ზრდისა და აქტიური ადგილობრივი მოხმარების გამო. 2017 წლის ბოლოს წლიურმა ინფლაციამ 6.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2018 წლის მარტში 2.8 პროცენტამდე შემცირდა, ვინაიდან მიილია გაზრდილი აქციზის გავლენა ინფლაციის მაჩვენებელზე. ექსპორტის, ტურიზმის, ფულადი გადმორიცხვების ზრდამ ხელი შეუწყო მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებას მშპ-ს 8.7 პროცენტამდე 2017 წელს. კერძო სექტორის დაკრედიტება ხელს უწყობდა ეკონომიკურ აქტივობას. ფისკალური დეფიციტი პროგრამით გათვალისწინებულზე უფრო დაბალი იყო მაღალი შემოსავლების გამო, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ აღმავლობას უკავშირდება. მაღალი შემოსავლები და მიმდინარე ხარჯების შეზღუდვა ქმნიდა კაპიტალური ინვესტიციების ზრდისა და დღგ-ს ზედმეტობების ანაზღაურების შესაძლებლობას.

2018 წელს ზრდა კვლავ მაღალი იქნება, ხოლო რისკები დაბალანსებული. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი, სავარაუდოდ, ოდნავ გაიზრდება საწვავის ფასების ზრდის და კაპიტალური ხარჯების გამო. საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს ეკონომიკური რეფორმის პროგრამის განუხრელი შესრულება ხელს შეუწყობს მაღალ და მეტად ინკლუზიურ ზრდას, კერძო ინვესტიციების, მწარმოებლურობის და კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობით. ფისკალური დისციპლინა გაგრძელდება. ფისკალური დეფიციტი 2017 წლის 2.9 პროცენტიდან 2018 წელს 2.8 პროცენტამდე შემცირდება, გაგრძელდება დღგ-ს ზედმეტობების ანაზღაურება და კაპიტალური ინვესტიციები. საშუალოვადიან პერიოდში ფისკალური დეფიციტი განაგრძობს შემცირებას. ამის მისაღწევად, სახელმწიფო ინვესტიციების მატების პარალელურად, საჭირო იქნება ხარჯვის ეფექტურობის ზრდა და სხვა სახელმწიფო ხარჯების მკაცრი კონტროლი.

ხელისუფლება გეგმავს ფისკალური ჩარჩოს გაძლიერებას და საჯარო ინვესტიციების მართვას, შემოსავლების ადმინისტრირების გაუმჯობესებას და სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის მონიტორინგს, საჯარო სექტორის ეფექტურობის ზრდას და ფისკალური რისკების შემცირებას, მათი გასაჯაროების პარალელურად.

მონეტარული პოლიტიკა შესაფერისია და მართებულადაა მიმართული ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაზე. მოსალოდნელია, რომ 2018 წლის ბოლოს ინფლაცია მიზნობრივი მაჩვენებლის შესაბამისი იქნება. მოქნილი გაცვლითი კურსის უზრუნველყოფა უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის დასაცავად საგარეო შოკებისგან.

ფინანსური სექტორის რეფორმები კვლავაც მიმართული იქნება ფინანსური მდგრადობის გაძლიერებაზე და მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე. სტრესის პირობებში ლიკვიდობის მიწოდებისა და ბანკების რეზოლუციის ჩარჩოს შექმნა ხელს შეუწყობს ფინანსური სტაბილურობის ზრდას. მოწყვლადი მსესხებლების ჭარბვალიანობისგან დასაცავად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შექმნა სახელმძღვანელო პასუხისმგებლიან დაკრედიტებაზე. დაგეგმილი პუდენციული ღონისძიებები და ფინანსური განათლების ამაღლება და მომხმარებელთა დაცვა შეამცირებს დოლარიზაციას საქართველოში.'' [24]

ბოლო მონაცემებით საქართველოს საგარეო ვალი საეთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ შემდეგნაირია (იხ. ცხრილი 2)

ცხრილი 2[25]

საქართველოს საგარეო ვალი 2019 წლის აპრილის მდგომარეობით

კრედიტორი **Creditors**	კრედიტის ვალუტა Currency	ვალის ნაშთი (ათასი) Debt Stock (thousand)		
		კრედიტის ვალუტაში in Credit Currency	აშშ დოლარში in USD	ლარში in GEL
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) International Monetary Fund	SDR	25 000	34 644	93 563

[24] https://www.imf.org/external/lang/georgian/np/sec/pr/2018/pr18132g.pdf
[25] https://mof.ge/images/File/sagvalebi/External-Debt-04-2019-GE-EN.pdf

წინა პერიოდის მონაცემები კი ასეთია (იხ. ცხრილი 3)

ცხრილი 3[26]

2018 წელი	166895	ათასი	აშშ დოლარი
2017 წელი	85448	ათასი	აშშ დოლარი
2016 წელი	5646	ათასი	აშშ დოლარი
2015 წელი	19400	ათასი	აშშ დოლარი

აღსანიშნავია რომ წლების განმავლობაში საგარეო ვალის მიმართ მუდმივად იცვლება, აქვე უნდა დავძინოთ რომ 2019 წელს ზოგადად საგარეო ვალმა ყველაზე დიდ ნიშნულს მიაღწია. (იხ დიაგრამა 3)

[26] https://mof.ge/images/File/sagvalebi/External-Debt-12-2018.pdf

დიაგრამა 3[27]



2019 წელს კრისტინ ლაგარდი საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი დირექტორი ეწვია საქართველოს. ვიზიტისას მან შეაჯამა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა და რამდენიმე რჩევა მოგვცა :

რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველომ იმისთვის, რომ უფრო ცოცხალი ეკონომიკა ჰქონდეს? – "დღეს საქართველოს კარგი ეკონომიკური მოსავალი აქვს. ბოლო ათი წლის განმავლობაში სიღარიბის მაჩვენებელი შემციდრა, სიცოხლის ხანგრძლივობა

[27] https://budgetmonitor.ge/ka/debt/foreign

კი გაიზარდა”, - ამბობს ლაგარდი და ხაზს უსვამს რომ საქართველოს ეკონომიკა სუსტია გარე შოკების მიმართ.

"არის ესეთი გამოთქმა: "იჩქარე ნელა“. ეს გამოთქმა საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარების პროცესს კარგად ერგება. ქვეყანაში უცხოურ ვალუტაში დაკრედიტება დაუცველ მდგომარეობაში აყენებს შინამეურნეობებს. ნაბიჯებია გადასადგემელი კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით, ასევე ადგილობრივი ობლიგაციების გამოშვების კუთხით.

კიდევ ერთი საკითხია ვალის შემცირება, განსაკუთრებით საშუალო და დაბალშემოსავლიან მოსახლეობაში. მდგრადი დაკრედიტების სისტემა ქვეყანას ძალიან წაადგება. აუცილებელია მწყობრი ნაბიჯები ამ მიმართულებით. ყველაზე მნიშვნელოვანი საფრთხეებისგან უნდა დავიცვათ ქვეყანა და ეს საფრთხე არის უთანაბრობა. საქართველოში ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა არაა. ზოგი შემეკამათება, თუმცა მე ვიტყვი რომ გავლენა მდგრად განვითარებაზე ამ ჭრილში საკმაოდ მაღალია“.

რა უნდა გაკეთდეს საშუალოვადიან პერიოდში მაღალი ეკონომიკური ზრდისთვის? კითხვაზე საპასუხოდ ლაგარდი 3 ფაქტორს ასახელებს: სამუშაო ადგილების შექმნა, პროდუქტიულობა და ხარისხიანი სამუშაო ადგილების შექმნა.

"საქართველოში მშპ-ს გრძელვადიანი ზრდის პროგნოზი 5.2%-ია. თუ მას მსაზღვრელად ავიღებთ ქვეყანას 10 წელი დასჭირდება, რომ ცხოვრების ევროპულ სტანდარტს დაუახლოვდეს. სწორი პოლიტიკაა საჭირო რათა ეს პერიოდი შემოკლდეს. აქ არის საჭირო კრეატიული აზროვნება. ახალი ინგრედიენტები გვჭირდება. ესეთია მაგალითად ინფრასტრუქტურა. მე ვიცი რომ საქართველო ბევრს მუშაობს რათა სატრანსპორტო ჰაბად იქცეს. თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების საფუძველზე ივაჭრებთ ბარიერების გარეშე, თუმცა თუ არ გექნებათ გზები ვერ ივაჭრებთ, ამიტომ ორივე კომპონენტი მნიშვნელოვანია“.

"ჩვენ გვჭირდება ტვინებს შორის კავშირები“, - ამბობს ლაგარდი და აღნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიციების შემოსვლის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი მუშახელის არარსებობაა.

"ყველა ამბობს, რომ საქართველო კარგი ქვეყანაა, თუმცა პრობლემა ისაა რომ საჭირო კადრებს ვერ პოულობენ. ადამიანებმა უნივერსიტეტის ხარისხის გარეშეც უნდა

შეძლონ დასაქმება. განათლების სისტემის რეფორმის შედეგი გრძელვადიანია, მოკლე პერიოდში კი შრომის ბაზრის კუთხითაა საჭირო ცვლილებები. აუცილებელია პროფსეიული განათლებით შრომის ბაზარზე არსებული დანაკლისი დაკმაყოფილდეს“.

კრისტინ ლაგარდმა ისაუბრა ეკონომიკაში ქალთა ჩართულობაზეც და აღნიშნა, რომ საქართველოში ზრდის ერთ-ერთი შემაფარხებელი ფაქტორი სწორედ ისაა, რომ უთანაბრობა ქალებსა და კაცებს შორის საკმაოდ მაღალია.

"საქართველოში ტალანტი დაუფასებელია. ქალთა ჩართულობა ძალიან მცირეა. ქართველი ქალები ძალიან ძლიერები არიან, მათი გვერდზე გაწევა არ შეიძლება. ეს წყვეტა უნდა ამოვავსოთ და შედეგად მეტ ეკონომიკურ ზრდას მივიღებთ. შოთა რუსთაველის ციტატას მოვიშველიებ“ ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდაც ხვადია".

კიდევ ერთ გამოწვევად ლაგარდი გადახდისუუნარობის კუთხით არსებულ სიტუაციას ასახელებს.

"საქართველოს შესანიშნავი შედეგები აქვს კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, განსაკუთრებით ქრთამის აღების შემცირების კუთხით. საქართველოში არსებობს იმის შესაძლებლობა რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს საჯარო მმართველობა. დამოუკიდბელი უნდა იყოს სასამართლო სისტემა. განათლებით იურისტი ვარ და ვიცი რამდენად მნიშვნელოვანია სამართლიანი გარემო.’’[28]

[28] ნინო კვინტრაძე, ,, რა გვითხრა ლაგარდმა’’, 2019 წლის 20 მაისი, ჟურნალი ,,Forbes Georgia’’

დასკვნა

სსფ უფლებამოსილია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან აქტიური დიალოგი გამართოს ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით. მის ფუნქციებში შედის წევრი ქვეყნების საკურსო მექანიზმების შერჩევა, ასევე არ დაუშვას საერთშორისო კაპიტალის ნაკადების დესტაბილიზაცია და შეიმუშაოს მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ სტანდარტები და პოლიტიკური კოდექსები შესაბამისი სფეროს ინსტიტუტებისათვის. ის ეხმარება ქვეყნებს შეინარჩუნონ მაკროეკონომიური სტაბილურობა, გასცემს სესხებს და იძლევა რეკომენდაციებს.

ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები (ფინანსური კრიზისები) მიუთითებს სსფ-ის, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ფინანსური სისტემის რეგულირების მექანიზმის ერთ-ერთი ძირითადი რგოლის მიზნების, ფუნქციების, სტრუქტურის მსოფლიო ფინანსურ სისტემასთან შესაბამისობის დაბალ ხარისხზე. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ თუ საერთაშორისო ვაჭრობის (იმის გათვალისწინებითაც კი, რომ მისი დიდი ნაწილი ხორციელდება ტრანსნაციონალური კომპანიების შიგა არხებით) მნიშვნელოვანი ნაწილი კონტროლდება ეროვნული სახელმწიფოების მხრიდან, ფინანსური ნაკადები თითქმის მთლიანად აღნიშნული კონტროლის მიღმა დარჩა. აღნიშნულთან ერთად, სწრაფად იზრდება ფინანსური სფეროს რეალური სეფეროსაგან ავტონომიურობის ხარისხი, რომლის მომსახურება მის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს. ყოველივემ, შექმნა ფინანსურ ბაზარზე სპეკულაციური თამაშით დიდი ფულის შოვნის უპრეცენდენტო შესაძლებლობა, რომელიც სრული დატვირთვით რეალიზდება.

სსფ-ის ფინანსური რესურსების გაზრდის მიუხედავად, შეუძლებელია მისი ფინანსური ძალის იმ დონემდე გაფართოება, რომ მან არსებული სტრუქტურით და

ფუნქციებით,"პატიოსანი კონკურენციის" გზით (როდესაც სსფ სპეკულაციურ შეტევებს მხოლოდ დაზარალებული ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების ზრდით

პასუხობს), შესძლოს სპეკულაციური ფონდების საქმიანობით გამოწვეული მწვავე შედეგების ნეიტრალიზება.

მაშინ, როდესაც სსფ-ის რესურსები მოკლევადიანი პრობლემების მოგვარებასაც (რაც სსფ-ის ძირითად მიზანს წარმოადგენდა) არ ყოფნის, მიუღებელია ფონდის მხრიდან განვითარების საერთაშორისო ბანკების მიზნების დუბლირება, რაც ღარიბი ქვეყნებისათვის, სტრუქტურული გარდაქმნების განსახორციელებლად და სიღარიბის შესამცირებლად ფართომასშტაბიანი შეღავათიანი კრედიტების გამო ყოფაში გამოიხატება. სსფ-ის მთავარ ამოცანას ფინანსური კრიზისების წარმოშობის თავიდან აცილება და მათი აღმოფხვრა უნდა წარმოადგენდეს.

მიმდინარე პერიოდში სსფ მისია აქტიურად უჭერს მხარეს საქართველოს მთავრობას ლარის კურსის მცურავ რეჟიმში შენარჩუნებაში, ასევე ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნებაში.

პოლიტიკის, სტრუქტურული გარდაქმნების გამყარებასთან, ფინანსური ინსტიტუტების გამჭვირვალების ხარისხის ზრდასთან ერთად, რასაც მსოფლიო ფინანსური სისტემის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეფორმირებასთან დაკავშირებით "დიდი შვიდეულის" რეკომენდაციები ითვალისწინებს, აუცილებელია "დონორი" ქვეყნების ფინანსური სისტემის რეგულირების გაძლიერება, როგორც ეროვნულ, ისე ზეეროვნულ დონეზე; რათა გამყარდეს საკრედიტო (საინვესტიციო) დისციპლინა და კრედიტორები (ინვესტორები) იძულებულნი გახდნენ უფრო ღრმად შეაფასონ მათ ოპერაციებთან დაკავშირებული რისკები.

სსფ-ის ფუნქციების გაფართოება წარმოუდგენელია გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის დემოკრატიზაციის გარეშე. დროა მოხდეს არსებული მექანიზმის საფუძვლიანი გადასინჯვა, რომელიც სააქციო საზოგადოების პრინციპებს ეფუძნება.

სსფ-ის მიზნების საქართველოს ინტერესებთან თანხვედრის შეფასება დამოკიდებულია იმ სატრატეგიული ცვლილებების ხასიათზე, რომელსაც ითვალისწინებდა ფონდის რეკომენდაციები. საქართველოსთვის სსფ წარმოადგენდა გარე დაფინანსების წყაროს, რომლის დახმარების მეშვეობითაც იგი ცდილობდა

ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის აღმოფხვრას.

ვინაიდან საქართველოსათვის ფინანსური რესურსების საზღვარგარეთიდან მოზიდვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, სსფ-ს ნაწილობრივ გააჩნდა ზესახელმწიფოებრივი რეგულირების მექანიზმი, ანუ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას შეეძლო მკაცრად დაესაჯა საქართველოს მთავრობა. შესაბამისად, სსფ-მ უდავოდ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ხელისუფლების მიერ ეკონომიკური ტრანსფორმაციის და კრიზისის დაძლევის ღონისძიებების განსაზღვრაში და მათ შედეგებზე პასუხისმგებლობის მოზიარეა.

სსფ-ის საქართველოში მოღვაწეობის მთავარი დადებითი შედეგებიდან უნდა აღინიშნოს: ქვეყნის საფინანსო მოწყობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა; ჰიპერინფლაციის მოთოკვა; ეროვნული ვალუტის შემოღება; ორსაფეხურიანი საბანკო სისტემის ფორმირება; საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია; კორუფციისა და სიღარიბის პრობლემის წინ წამოწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., გლობალური ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, ჟურნ. `სოციალური ეკონომიკა'' 2003, #1, გვ. 61-66.K

2. ევროკავშირი საერთაშორისო სავალუტო ფონდის კაპიტალის 1,5 მილიონი დოლარით გაზრდას დათანხმდა. ჟურნ. ''საქართველოს ეკონომიკა'', 2009, #3.

3. ვეშაპიძე შ., მსოფლიო ეკონომიკის გლობალურ პრობლემათა შესახებ, ეკონომიკის აქტუალური საკითხები (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), თბ., 2001, გვ. 146-154.

4. ლეკაშვილი ე., ეკონომიკის და პოლიტიკის ურთიერთკავშირის პრობლემა საერთაშორისო სისტემაში, ჟურნ. `სოციალური ეკონომიკა'', 2001, #1, გვ. 122-127.

5. კაკულია რ. ხელაია გ. ფინანსების თეორია თბ.2004 გვ125-135

6. კაკულია რ. ფულის მიმოქცევის და კრედიტების ზოგადი თეორია თბ 2003 (მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა) გვ.386-417

7. კაჭარავა გ., მეტრეველი მ., სირაძე გ., შალუტაშვილი ა., ჯაფარიძე თ., ცხომელიძე ე., ა რაზმაძე ა., ,,ეკონომიკური მიმოხილვა'', 2018 წლის მაისი

8. კვინტრაძე ნ. ,, რა გვითხრა ლაგარდმა'', 2019 წლის 20 მაისი, ჟურნალი ,,Forbes Georgia''

9. პაპავა ვლ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართვალოში: მიღწევები და შეცდომები, თბ., 2000.

10. პაპავა ვლ., ლეშეკ ბალცეროვიჩი და საქართველო, ჟურნ., მაკრო მიკრო ეკონომიკა, #12(49), 2001, გვ. 36_41.

11. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002,

12. ჟვანია ნ., ,,საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა'' 2006 წელი

13. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიზისი და ახალი პრეზიდენტი. ჟურნ. ”საქართველოს ეკონომიკა”, 2007, #9.

14. საერთაშორისო სავალუტო ფონდი: _ სიკეთე თუ ბოროტება? საქართველოს ეკონომიკური კოლონიალიზმის საფრთხე ემუქრება, ხარჩილავა ვ. (რედ.), თბ., `ყაზბეგი’’, 1998;

15. ქარუმიძე ვ. საერთაშორისო ორგანიზაციები თბ.2003(მესამე გამოცემა) გვ 118-127

16. ყორღანაშვილი ლ., საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საქართველო, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერბათა აკადემია, შრომები, ტომი I, თბ., `სიახლე’’, 2001, გვ. 293-305.

17. შაბურიშვილი შ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველო: რთული დიალოგის ათი წელი, ჟურნ. `სოციალური ეკონომიკა’’, 2003, #5, გვ. 89-97.

18. შაბურიშვილი შ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საქართველოს ეკონომიკის პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის რეტროსპექტივა, ჟურნ. `სოციალური ეკონომიკა’’, 2004. #1, გვ. 63-69.

19. შაბურიშვილი შ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მაკროეკონომიკური რეგულირება საქართველოში, ჟურნ. `სოციალური ეკონომიკა’’, 2004, #3, გვ. 71-78.

20. ჩახნაშვილი ზ., გოტიაშვილი ლ., ,, საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ვაშინგტონის კონსესუსის როლი განვითარებადი ქვეყნებისათვის’’, 2013 წლის 26 აგვისტო

21. ჩიქობავა მ. თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის მიზეზები,შედეგები და პერსპექტივები .თბ2007 გვ25-38

22. budgetmonitor.ge

23. International Financial Statistics, vol. 53, No. 4, 2010.

24. Refort of the International Financial Institution Advisory Commission (The Meltzer Commission),Washington, D.C. International Financial Institution Advisory Commission, Marc, 2009. http:// www. house. gov./ imf/ ifiac. Htm.

25. U.S. Department of the Tresury. Report on IMF Reforms. Report to Congress. Washington, D.C.: October

26. http://www. treas gov/press/releases/imfreporm.

27. MAKING THE GLOBAL ECONOMY WORK FOR ALL. International Monetary Fund. Annual Report 2011

28. 31.U.S. General Accounting Office. International Monetary Fund: Approuch Used to Establish and Monitor Conditions for Financial Assistance. Washington D.C.: GAO, June 22, 2010. http:/www.gao.gov/ index.htm.
29. http://www.imf.org
30. intermedia.ge
31. forbes.ge
32. http://mfa.gov.ge/
33. https://www.mof.ge/
34. .http://economy.ge/